# ლელო

№184 (12 254)

7 აგვისტო სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საწვრთნელი მატჩების სერია გაიხსნა

# კახამ ჟინი ჟანასთან მოიკლა

## კალაძისა და ფრისკეს ინტიმური თავგადასავალი მოსკოვში

მოსკოვში ჩატარებულ ოთხთა საერთაშორისო ტურნირს მარტო სპორტული პრესის ყურადღება არ დაუმსახურებია. მადრიდის "რეალისა" და "მილანის" მოთამაშეები ყვითელი პრესის ინტერესს ნებისმიერ შემთხვევაში აღძრავ.

თუმცა რუსების ინტერესი ესპანელ, ბრაზილიელ, ჰოლანდიელ და იტალიელ ვარსკვლავებზე მეტად, ქართველმა **კახა კალაძემ** აღძრა.

შესაძლოა, ეს ენობრივი ბარიერის არარსებობის ფაქტორითაც აიხსნება - კალაძის გარდა, რუსული არც ერთმა ვარსკვლავმა არ იცის. სწორედ ამიტომ მიუშვა **კარლო ანჩელოტიმ** ავტოგრაფების დასარიგებლად ქართველი ლეგიონერი, რომელმაც მსურველთა დიდ ჯგუფს უარი ვერ უთხრა და პირველი მატჩის დაწყებამდე, ლამის მოთელვაზე დაიგვიანა. თუმცა გუშინ ავტოგრაფებსა და "მილანის" თამაშზე მეტად, რუსული ყვითელი პრესა "ტვოი დენის" მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და გადაღებული ფოტოების შესახებ უთხრობდა მკითხველს. გთავაზობთ სტატიის ნაწყვეტებს.

### ჟანა ფრისკე: კალაძესთან ინტიმური შეხვედრა მქონდა

*მომღერალმა საღამო "მილანის" მცველთან გაატარა. ძლივს მოასწრო სანტროპედან დაბრუნება, სადაც დრო ცნობილ რეპერ პაფ დედისთან გაატარა და უცებ მეორე ვარსკვლავის ყურადღება მიიპყრო. სექსუალური ფრისკე კახა კალაძეს მოეწონა. ფეხბურთელი შეყვარებული ბიჭივით ჟანას სასტუმრო "რიცის" ჰოლში ელოდა. როგორც კი დაინახა მომღერალი, მისკენ ლამის ნახტომით გაეშურა.*

### ბანკეტი

*"მილანის", "რეალისა" და "ეინდჰოვენის" მოთამაშეთა საპატივცემულოდ, სასტუმროში ბანკეტი გაიმართა. მოთამაშეებს ლონისძიებაზე დასწრების დიდი სურვილი არ აღმოაჩნდათ. ისინი ვერც ჟანა ფრისკეს გამოჩენამ შეაჩერა. ალბათ, მხოლოდ კალაძე არ დარჩა გულგრილი. სასტუმროს ჰოლში მოთმინებით დაელოდა, როდის გამოიცვლიდა მომღერალი და მეორე სართულის კიბეებიდან მომავალს სწრაფად მიუახლოვდა, კახა მას აღფრთოვანებულ მზერას არ აცილებდა, მომღერალი კი ხელზე ეფერებოდა.*

*- ეს იყო ინტიმური შეხვედრა - გულახდილად თქვა ჟანამ - რაზე უნდა ისაუბრონ მამაკაცმა და ქალმა? კახას დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ სად გავიცანი, არ გეტყვით. ეს ჩვენს საიდუმლოდ რჩება.*

*მეორე დღეს, კახას მიწვევით, ჟანა "მილანი"-"ლოკომოტივის" მატჩს დაესწრო და რუსულ გუნდს არ ქომაგობდა.*

*- მე დღეს "მილანის"ფანი ვარ - გვითხრა მომღერალმა - საერთოდ კი, ლამაზ ფეხბურთს ვგულშემატკივრობ.*

*ჟანასთან საუბრის შემდეგ, კახა დაძინებას ველარ ახერხებდა. შუაღამემდე სასტუმროს ჰოლში იჯდა და აშკარა იყო, ვიღაცას ელოდებოდა. ცნობილ მოთამაშესთან გოგონები სხდებოდნენ, მაგრამ სწრაფადვე დგებოდნენ და მიდიოდნენ".*





# ომში, ქარსა და წვიმაში

## საქართველოს ნაკრების პირველი საწვრთნელი მატჩი

**საკონტროლო მატჩი**

### საქართველო–ოში 17:20

საქართველო: (15-9) ბარკალაია, ელოშვილი, ურჯუკაშვილი, გიგაური, კაჭარავა, კვირიკაშვილი, აბუსერიძე; (1-8) მაგრაქველიძე, ა.გიორგაძე, კოპალიანი, ზედგინიძე, გორგოძე, ჩხაიძე, ლაბაძე, უდესიანი. (შემცვლელები) *შველიძე, ხინჩაგიშვილი, დათუნაშვილი, დიდებულიძე, ურუშაძე, ზ. მაისურაძე, სამხარაძე, ჯიმშელაძე, მაჩხანელი, შკინინი, ელიზბარაშვილი, ხამაშურიძე, ი. გიორგაძე*

*2ლ: გორგოძე, ზედგინიძე. გ, 2ს: კვირიკაშვილი*

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასის წინ, საფრანგეთში, საწვრთნელ შეკრებაზე, პირველი ამხანაგური მატჩი გამართა და პირველი დივიზიონის ბინადარ "ოშთან" 17:20 დამარცხდა.

ანგარიში შეხვედრაში, რომელიც წვიმასა და ძლიერ ქარში მიმდინარეობდა, ბორჯღალოსნებმა გახსნეს საჯარიმო დარტყმით. **მერაბ კვირიკაშვილმა** 20 მეტრიდან, ზურგქარში გაიტანა. ამის შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და მალე პირველი ლელო მიითვალეს, რასაც ხუთიოდ წუთში ერთი საჯარიმოც მიაყოლეს 8:3, "ოშის" სასარგებლოდ.

საქართველოს ნაკრების მორაგბეებმა მდგომარეობა უმალვე გამოასწორეს და ტაიმი 17:8 მოიგეს. ბორჯღალოსნებმა მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს და ორივე მეორეხაზელების **ილია ზედგინიძისა** და **მამუკა გორგოძის** ანგარიშზეა. კვირიკაშვილმა ორივე გარდასახა.

მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა თითქმის მთელი შემადგენლობა გამოცვალეს. შეცვლაზე 13 მორაგბე შემოვიდა, სამწუხაროდ, ჩვენმა მორაგბეებმა თავიანთ მონაგარს ვერაფერი შემატეს. მეტოქემ კი 12 ქულის მოაგროვა და მსოფლიოს თასის მონაწილე გუნდის დამარცხება შეძლო 20:17.

დავით ჩავლეიშვილი, **საქართველოს ნაკრების მწვრთნელი**: - პირველი თამაშისთვის გუნდი ნორმალურად გამოიყურებოდა. განსაკუთრებით ამის თქმა პირველ ტაიმზე შეიძლება. თითქმის ყველაფერი გამოგვდიოდა. მეორე ნახევარში მთელი გუნდი შევცვალეთ, ქარიც ჩვენ წინააღმდეგ უბერავდა. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში ქულების მოგროვება ვერ მოვახერხეთ. ახლა, 10 აგვისტოს, "აჟენის" ახალგაზრდულ გუნდს ვეთამაშებით, ხოლო 14-ში ამავე კლუბის ძირითად გუნდს. ამ ორ თამაშში ვეცდებით არსებული ხარვეზები მაქსიმალურად აღმოვფხვრათ. საბედნიეროდ, ტრავმა არავის მიუღია.

**ბესიკ ჯანგავაძე**



# მომძლავრებული ფსიქოლოგია, ვენური დერბი და უჰრინის პრიორიტეტი

### ინტერვიუ დუშან უჰრინთან

2

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge


დუშან უჰრინი

დინამო. ინტერვიუ დუშან უჰრინთან

# მომძლავრებული ფსიქოლოგია, ვენური დერბი და უჰრინის პრიორიტეტი

**უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის შემდეგ, დუშან უჰრინი ვენაში გაემგზავრა და "რაპიდისა" და "აუსტრიის" დერბის დაესწრო. ჩეხი სპეციალისტი თბილისში გუშინ დაბრუნდა. ეროვნული ჩემპიონატის სტარტის წინ "დინამოს" მთავარ მწვრთნელთან სასაუბრო სხვა თემებზეც დაგვიგროვდა, თუმც ინტერვიუ სწორედ ავსტრიულ შთაბეჭდილებებზე საუბრით დავიწყეთ.**

- ამ გუნდების ნებისმიერი დაპირისპირება გამორჩეული ხასიათს ატარებს და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იყო. ტრიბუნებზე სრული ანშლაგი იყო, მოედანზე კი ძალიან დაძაბული თამაში. პირველი ტაიმიც თანაბარი იყო, მეორეში კი უპირატესობას ჩვენი მომავალი მეტოქე ფლობდა, რომელმაც ფიზიკურად კარგად მომზადებული და ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, "რაპიდი" 4-4-2 სქემით თამაშობს. მიუხედავად უპირატესობისა, რეალური საგოლე ეპიზოდები მათ კართან შეიქმნა. ჯერ მცველებმა მიიჩნიეს, რომ თამაშგარე იყო, მაგრამ მსაჯმა და ლაინსმენმა სხვაგვარად განსაჯეს და მასპინძლები მეკარემ იხსნა, ამგვარი სიტუაცია რამდენიმე წუთშიც განმეორდა.

**- ობიექტურად რომ შეაფასოთ, "რაპიდთან" ტოლ-სწორად ბრძოლა შეგვიძლია?**

- ერთმანეთის პირისპირ ავსტრიისა და საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი და ყველაზე დიდი გუნდები წარდგებიან. რაც შეეხება შანსებს, ვფიქრობ, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლა ორივე გუნდს შეუძლია. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ "დინამო" ყველაფერს გაიღებს ქართული ფეხბურთის პრესტიჟის დასაცავად.

**- კენჭისყრის მიხედვით, პირველი თამაში სტუმრად უნდა გაგვემართა, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეიცვალა...**

- ცხადია, ჯერ ვენაში თამაში გვერჩივნა, მაგრამ რას ვიზამთ, არც ახლა ვართ გამოუვალ მდგომარეობაში.

**- ამასობაში, საქართველოს ჩემპიონატიც მოახლოვდა, რომლის სასტარტო მატჩშიც უპრინციპულეს მეტოქეს უნდა დაუპირისპირდეთ...**

- მიუხედავად იმისა, რომ უეფას თასზე მნიშვნელოვანი მატჩები გველის, გუნდი სადღეისოდ მთლიანად საქართველოს ჩემპიონატის პირველ შეხვედრაზეა კონცენტრირებული. 11 აგვისტოს ქვეყნის ჩემპიონს ვეთამაშებით და მთავარი ამოცანა რუსთავში წარმატებული გამოსვლაა.

**- როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე გაჯობათ შარშან რუსთაველმა კლუბმა?**

- გასულ სეზონში "ოლიმპს" ჩემპიონატში ორჯერ ვეთამაშეთ და ამ მატჩებში ოთხი ქულა ავიღეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე ნაკლები გუნდი არ გვყოლია. უბრალოდ, როცა მე "დინამოში" მოვედი, კონკურენტებს საგრძნობი სხვაობით ჩამოვრჩებოდით. დროთა განმავლობაში "ამერს", "ზესტაფონსა" და "ვიტ ჯორჯიას" გადავუსწარით, "ოლიმპს" კი მიუხედავად იმისა, რომ მეორე წრეში მხოლოდ ორ მატჩში დავკარგეთ ქულები, ვერაფერი მოვუხერხეთ. არადა, რუსთაველი შეხვედრა რომ მახსენდება, გამარჯვების შესანიშნავი შანსი გავუშვით ხელიდან. მთავარი მიზეზი, რამაც ჩემპიონობაში ხელი შეგვიშალა, ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ. ახლანდელი გუნდი გაცილებით მტკიცე ხასიათისაა და ოპტიმიზმის საფუძველს ეს მაძლევს.

**- სხვა ქართული კლუბების საევროთასო ბრძოლებს თუ მიადევნეთ თვალი?**

- სამწუხაროდ, ვერც ერთი მატჩი ვერ ვნახე, შედეგებმა კი ძალიან დამწყვიტა გული. კარგია, "ამერმა" ასე ღირსეულად რომ იბრძოლა, აი "ზესტაფონისა" და "ოლიმპის" ასეთ კრახს კი ნამდვილად არ ველოდი.

**- შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ახალი სეზონისთვის გუნდის დაკომპლექტება დასრულებულია?**

- დიახ, ფაქტობრივად, ასეა. ყველა ახალწვეულის მომზადების დონით კმაყოფილი ვარ.

**- რომელიმე რგოლის თამაში უკეთესის სურვილს ხომ არ ტოვებს?**

- ამ ეტაპზე აშკარა სისუსტეებს ვერც ერთ რგოლში ვხედავ, დანარჩენი კი სეზონის მსვლელობისას გამოჩნდება. თუ რამე ხარვეზს შევნიშნავ, ამას ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას გამოვასწორებთ.

**- ერთფორვარდიან ტაქტიკაში ცვლილებებს ხომ არ გეგმავთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ვთამაშობთ, ვერავინ იტყვის, რომ "დინამო" ცუდად უტევს. ვნახოთ, ჯერჯერობით, ამ სქემის ერთგული ვარ, გუნდში 4 მაღალი კლასის ფორვარდი გვყავს და არაა გამორიცხული, ზოგჯერ მოედანზე ერთდროულად ორი მათგანიც იხილოთ.

**- ქართულ ასპარეზზე მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- მგონი, წამყვანი ქართული კლუბების ჩამონათვალი არ უნდა იყოს შეცვლილი, შესაბამისად, მთავარი ბრძოლები "ოლიმპთან", "ამერთან", "ზესტაფონსა" და "ვიტ ჯორჯიასთან" გვექნება. აქვე აღვნიშნავ, რომ პროფლიგის გადაწყვეტილება ტურის მატჩების ორსამ დღეზე განაწილების თაობაზე ძალიან მომწონს, მაქსიმალურად შევეცდები, თანაშემწეებთან ერთად კონკურენტების შეხვედრებს დავესწრო.

მომავალი სეზონი "დინამომ" უტიტულოდ არ უნდა დაასრულოს. ორივე ფრონტზე პირველობისთვის ვიბრძოლებთ, პრიორიტეტი კი, რასაკვირველია, საქართველოს ჩემპიონობა იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რატომ გაიხიშტა სამტუზიანი ტორპედო?!

ქვეყნის სამგზის ჩემპიონი და ორგზის თასის მფლობელი ქუთაისის „ტორპედო“ უსახსრობის გამო უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა. ფეხბურთის ფედერაციისგან ბევრი ასეთ მკაცრ განაჩენს არ მოელოდა. გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია. ზოგის აზრით, უფულო კლუბს უმაღლესში არაფერი ესაქმება და „ტორპედოს“ მოკვეთით ფეხბურთის სახლში სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს. სხვები კი ფიქრობენ, რომ ფედერაციაში ქუთაისური გუნდის ტრადიციები უნდა გაეთვალისწინებინათ და „ტორპედოსთვის“ კიდევ ერთი შანსი მიეცათ. ასეა თუ ისე, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად ჩემპიონატი „ტორპედოს“ გარეშე ჩაივლის. ამ ამბის შემდეგ საღორიის საწვრთნელი ბაზის ბინადართ დანა პირს არ უხსნიდა. ყველა უხალისოდ იყო - გუნდის ხელმძღვანელობიდან დაწყებული, მომსახურე პერსონალით დამთავრებული. ვარჯიშიც ჩვეულებრივზე ადრე დასრულდა. „ტორპედოს“ მწვრთნელების, ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების აზრს უახლოეს ნომერში გაგაცნობთ, ახლა კი გუნდის გენერალურ დირექტორს **ვლადიმერ კაკაურიძეს** მოვუსმინოთ.

- ბოლო წუთებამდე იმედს არ ვკარგავდით, რომ „ტორპედოს“ უმაღლეს ლიგაში თამაშის ნებას დართავდნენ, სამწუხაროდ, ალმასკომმა სხვაგვარად გადაწყვიტა. რას ვიზამთ, კანონს უნდა დავემორჩილოთ. ახლა იმისთვის ვიბრძვით, რომ პირველ ლიგაში მივიღოთ მონაწილეობა. გუნდი შეკრებაზე გვყავდა გადაყვანილი. წესით, ხელფასს უნდა ვიღებდე სამუშაოსთვის, მაგრამ საკუთარი ფული მომქონდა და გუნდისთვის ვხარჯავდი, ოღონდ კი „ტორპედო“ გადაგვერჩინა.

**- 4 აგვისტოს, ფედერაციის ალმასკომის სხდომის დაწყებამდე რომ გნახეთ დარწმუნებული იყავით, რომ „ტორპედოს“ უმაღლესში დაუშვებდნენ. რას ეფუძვნებოდა ეს იმედები?**

- „ტორპედოს“ მეპატრონეებისგან ვიცოდი, რომ სახსრების მოსაძიებლად ერთთვიან ვადას გვაძლევდნენ. „სამი ტუზის“ ხელმძღვანელები და დავით კოდუა გვაიმედებდნენ, ფედერაცია თანხის შესატანად ერთვიან ვადას მოგვცემდა. ჩვენი ოპტიმიზმიც აქედან გამომდინარეობდა. თუმცა საბოლოოდ რაც მოხდა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. რა უნდა მეღონა? დაქირავებული თანამშრომელი ვარ და რასაც მეტყვიან ის უნდა გავაკეთო.

**- ერთთვიანი ვადა რომ მოეცათ, რეალურად შეძლებდით ამ პერიოდში თანხების მოძიებას?**

- ცაიტნოტში აღმოვჩნდით. დრო აღარ გვქონდა, თორემ, რომ დაგვცლოდა თანხას აუცილებლად მოვიძიებდით. ამისთვის მთელი ქალაქი მზად იყო. ბევრი საქმოსანი მხარში დაგვიდგა და 36000 ლარი იკრიბებოდა, შემდეგ კი გუნდში შესაძლოა ახალი ინვესტორიც შემოსულიყო. სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. უმაღლეს ლიგაში „ტორპედოს“ გორის „დილა“ ჩაანაცვლეს. მესმის, რომ ყოველივე ეს დებულების მიხედვით გაკეთდა, მაგრამ შეიძლებოდა ალმასკომს ლმობიერება გამოეჩინა და ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენთვის გარკვეული დრო მოეცა. ჩვენ შეგვწევდა იმის ძალა, რომ სავარჯიშო პროცესი არ ჩაგვეგდო და გუნდი თამაშებზე შეუფერხებლად გამოსულიყო.

**- პროფლიგა კარგა ხნით ადრე გაფრთხილებდათ საშიშროების შესახებ. ხომ შეიძლებოდა, ეს 36 ათასი ლარი ადრევე შეკრებილიყო და სამონაწილეო თანხა გადაგეხადათ?**

- საქმე ისაა, რომ „ტორპედო“ კერძო საკუთრებაა, გუნდი „სამი ტუზს“ ეკუთვნის, თუმცა როცა რეალურად გაჩნდა გუნდის დაშლის საფრთხე, ჩვენ დაფინანსების სხვადასხვა წყაროს მოძიება დავიწყეთ და ერთი თვე რომ მოეცათ, ეს თანხა შეიკრიბებოდა.

**- რა რეაქცია იყო გუნდში, როცა უმაღლესი ლიგიდან მოკვეთის ამბავი შეიტყვეთ?**

- ყველანი განადგურებული ვართ. ენთუზიაზმზე ვმუშაობდით, რომ „ტორპედო“ ამ სირცხვილისგან გადაგვერჩინა, მაგრამ არ გამოგვივიდა. როგორც ვიცი, ჯერჯერობით, სამონაწილეო თანხა „დილასაც“ არა აქვს შეტანილი და ამდენ ხანს იქნებ ჩვენც დაგვეფარა ეს ფული. ეს არის ჩვენთვის გაუგებარი, თორემ დებულება რომ უნდა შესრულდეს ამას საუბარიც არ უნდა.

**- უმაღლესი ლიგიდან მოკვეთის გამო გუნდი ხომ არ დაიშლება?**

- ვისაც წასასვლელი ჰქონდა, ამ ამბის მერე გუნდიდან წავიდა. დაბალ ლიგაში თამაში ბევრს არ უნდა. პერსპექტივა ვისაც ჰქონდა ყველა გაიქცა. ახალგაზრდები გვყავს, მაგრამ მათ 2-3 გამოცდილი ფეხბურთელი თუ არ ამოვუყენეთ გვერდით, ძალიან გაუჭირდებათ.

**- პირველ ლიგაში იასპარეზებთ?**

- ჯერჯერობით ესეც გასარკვევია. კლუბის მეპატრონეს და ქალაქის ხელმძღვანელობას უნდა მოვეთათბიროთ და ამის შემდეგ გადაწყდება ეს საკითხი. დრო არ იცდის, ოთხშაბათამდე ყველაფერი უნდა გაირკვეს.

**- საუბარი იყო ინვესტორის მოსვლაზე. უმაღლესი ლიგიდან მოკვეთის გამო სავარაუდო სპონსორიც ხომ არ შეიცვლის აზრს?**

- ამ ამბის შემდეგ მასთან არ მისაუბრია. არ არის გამორიცხული, რომ პირველ ლიგაზე მართლაც უარი თქვას.

**- ეს ყველაფერი ხომ არ ნიშნავს, რომ ქუთაისში ფეხბურთი მოკვდება?**

- მდგომარეობა მართლაც მაქეთკენ მიემართება, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქუთაისში ფეხბურთი არ მოკვდეს. „ტორპედო“ ქალაქის სიმბოლოა. კალათბურთის, რაგბის, წყალბურთის გუნდები დაიშალა, ერთი „ტორპედო“ გვქონდა შენარჩუნებული და ვეცდებით, რომ ისევ ავალორძინოთ. ჩვენზე რაც იქნება დამოკიდებული ყველაფერს გავაკეთებთ. ახლა ყველაფერი მეპატრონეზეა დამოკიდებული. „სამი ტუზი“ გუნდზე უარს ამბობს, ამიტომ ან ქალაქმა უნდა მიხედოს „ტორპედოს“ ან ახალმა ინვესტორმა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ლეგიონერები



დავით სირაძე

# თასი, თავი და ფახი

## სირაძის პადერბორნული ამბავი

უახლოესი მატჩი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 22 აგვისტოს ელის - სტუმრად ამხანაგურად გაეჯიბრება ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდს. ეს იმას ნიშნავს, რომ სალუქსემბურგო შემადგენლობას კლაუს ტოპმიოლერი მალე დაასახელებს, სავარაუდოდ, დამდეგ უქმეებამდე.

22-მატჩისთვის გამოძახებულთა სიაში ალბათ არცთუ ცოტა ფეხბურთელი იქნება გერმანიიდან, სადაც გასულ უქმეებზე თასის პირველი ეტაპის მატჩები გაიმართა. "პადერბორნმა" დავით სირაძის გოლით მოუგო სტუმრად "ლევერკუზენის" მეორე გუნდს. სირაძე ახლა კარგ ფორმაში უნდა იყოს, ტრავმას არ უჩივის, მოსამზადებელი პერიოდი ნორმალურად გაიარა და ტოპმიოლერი მას ალბათ სალუქსემბურგოდაც უხმობს ნაკრებში.

დათოს გუშინ დავუკავშირდით გერმანიაში...

- ნაკრების მწვრთნელთაგან ჯერ არავინ შემხმიანებია და ვერ გეტყვით, ლუქსემბურგთან მატჩისთვის გამოძახებული ვარ თუ არა. ახლა იმაზე ვფიქრობ, თუ ვინ შეგვხვდება გერმანიის თასის მომდევნო ეტაპზე. კარგი იქნება, თუ სახელიანი და ძლიერი მეტოქე გვეყოლება, ეს უფრო დიდ სტიმულს მომცემს, ასეთ მეტოქესთან ბრძოლა კიდევ უფრო საინტერესოა.

**- "ლევერკუზენთან" სასტარტოში არ იყავი, მეორე ტაიმიდან ჩაერთე თამაშში - ეს მწვრთნელის ტაქტიკური სვლა იყო?**

- თამაშამდე ერთი კვირით ადრე სულ ტაქტიკური ვარჯიშები გვქონდა, 4-4-2 სქემას ვამუშავებდით, მაგრამ თამაშის დღეს მწვრთნელმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო და 4-5-1 სქემა აირჩია, თავდასხმაში როტერი გაამწესა. ასეთმა განლაგებამ არ გაამართლა პირველ ტაიმში "პიდერბორნმა" ღირებული ვერაფერი შექმნა. მეორე ტაიმში როტლერის ადგილზე მე გამამწესეს, მან კი მარცხენა გარემარბად გადაინაცვლა. ლამაზი გოლი გავიტანე - თავურით "ცხრიანში". კიდევ ორი საგოლე მომენტი მქონდა და საერთოდაც, მეორე ტაიმში მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ. ისიც უნდა ითქვას, რომ ლევერკუზენელებს სტუმრად ვეთამაშებოდით და პირველი გუნდიდან ოთხი ფეხბურთელი ჰყავდათ დამატებული.

**- "პიდერბორნს" გამოცდილი მწვრთნელი ჰყავს - უკვე თითქმის სრული წარმოდგენა შეგექმნა ჰოლგერ ფახზე?**

- ფახი ისეთი კაცია, გეგონება, შენი თანაგუნდელი ფეხბურთელიაო... ძალიან მეგობრული და ყურადღებიანი, მასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. ის ყოველ ვარჯიშზე მიხსნის ტაქტიკურ ნიუანსებს. ასეთი რამ მაგალითად, "აუეში" არ იყო. ფახი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თეორიულ მეცადინეობას და ტაქტიკურ ვარჯიშებს.

**დავით თავართქილაძე**

# ყენიას მოლოდინი

## საპნის ოპერა გრძელდება



ლევან ყენია

უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში წასასვლელად დიდი და გვარიანი შრომაა საჭირო. ამა თუ იმ ქვეყნის საელჩოსთან გატარებული დროის მიხედვით, მოთმინების მსოფლიო რეკორდი რომ იანგარიშებოდეს, ქართველები ყველა შეჯიბრებას უდაო უპირატესობით მოვიგებდით.

ეს შემთხვევით არ ხდება. საქართველოშიც გამკაცრებულია აფრიკელთა შემოსვლა, რომელთაც შიდსის პოტენციურ გადამტანად მიიჩნევენ ან ნარკოტიკების გამსაღებლებად.

ასევე გაუფუჭდათ ევროპაში სახელი ქართველებს. ყოფილა შემთხვევა, 100-კაციანი სპორტული დელეგაციიდან, ამერიკაში 90 ადამიანი დარჩენილა. ასეთი რამ ხდებოდა წლიდან წლამდე და ქართველებს ევროპაში ისეთივე სიფრთხილით ეკიდებიან, როგორც ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო - აფრიკელებს.

თუმცა ამ ეჭვებსა და სიფრთხილეში ბევრი წესიერი ადამიანი იჩაგრება. ეს ყოველივე **ლევან ყენიას** გამო გაგვახსენდა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის "ლოკომოტივის" ნახევარმცველი მაისიდან მოყოლებული გერმანიის ვიზის აღებას ელის. მას გელზენკირხენის "შალკე" იწვევს, 17 წლის ბიჭზე მზრუნველობისა და პატრონობის მზადყოფნა "შალკეს" ქართველმა ვიცე-კაპიტანმა **ლევან კობიაშვილმა** გამოთქვა. კლუბიდან მიწვევა მიღებულია, მაგრამ ლევანს ვიზა არა და არ აღირსეს.

გუშინ გვითხრა, რომ ვიზის მისაღებად რიგი ხუთშაბათს უწევს და ამის გამო, ლევანი პირველ ტურში თბილისის "ამერთან" "ლოკომოტივს" დაეხმარება.

*"გერმანელებმა ვარჯიში უკვე დაიწყეს, მე კი მოლოდინში დრო გამიცდა და ფორმა უნდა აღვიდგინო. მოუმზადებლად ჩასვლა არ მსურს. ამიტომაც მინდა, რომ წასვლამდე რაც შეიძლება კარგად ვივარჯიშო და თამაშიც ჩავატარო"*, - გვითხრა ლევანიმ.

ფეხბურთელი ისედაც ფორმაში უნდა იყოს. დილიდან სალამომდე გერმანიის საელჩოსთან მოლოდინში გვარიანი ნებისყოფა გამოუმუშავდებოდა და ფიზიკურადაც მოემზადებოდა.

ხუმრობა იქით იყოს და, კარგი იქნება, ამ ბიჭს ვიზას დროულად თუ მისცემენ. ჯერ ესპანელებმა გააცდენინეს დრო, ახლა კი გერმანელებმა. ამასობაში კი ძვირფასი დრო მიდის, როდესაც ნიჭიერი ბიჭი მოედანზე ბურთს უნდა დასდევდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# რევიშვილს ასვენებენ

საქართველოს ნაკრების და ყაზანის "რუბინის" მეკარე **ნუკრი რევიშვილს** წლევანდელი სეზონი ვერა და ვერ აეწყო. სეზონი ჩინებულად დაიწყო, ყაზანელთა ძირითად შემადგენლობაში ხშირად ჩნდებოდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და ექიმებთან სიარულს მოუხშირა.

ის ახლა საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოვიდა და ექიმების რჩევით, ისვენებს.

*"პირველად ტრავმა შარშან ამ დროს მივიღე. ვარჯიშზე ფეხი მომარტყეს, მაგრამ ჩავთვალე, რომ სერიოზული არაფერი იყო და ერთ კვირაში ვარჯიში გავაგრძელე. მეგონა, უბრალო ტკივილი იყო. რუსეთში ვარჯიშის დროსაც "ჩეხვა" არავის უკვირს და მეც ყურადღება არ მივაქციე. თუმცა ტკივილმა არ გამიარა. მერე ნაკრებში რაც შემემთხვა, ყველამ იცის. ლიტვაში ვარჯიშის დროს კოჭი გამისივდა. საფრანგეთში ვერ წავედი და მას შემდეგ ექიმებს ვერ შევეშვი. ვარჯიში სამჯერ განვაახლე და სამივეჯერ კოჭი მეტკინა. ექიმებმა მითხრეს, რომ ვარჯიში ნაადრევად დავიწყე. ამიტომაც მირჩიეს სამი კვირით დასვენება და არანაირი წამლობა. ესაა საუკეთესო მკურნალობა. მხოლოდ ფიზიოთერაპიის კურსებს მიტარებენ. ასეა, ძვალს გაფრთხილება სჭირდება. ურეკშიც დასასვენებლად ჩამოვედი. აქაური ქვიშა ხომ ფეხების გასაძლიერებლად საუკეთესო საშუალებაა"*, - გვითხრა რევიშვილმა.

ნუკრი ჯერ ვერ ამბობს, როდის ითამაშებს: *"22 აგვისტოს, როდესაც ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები თამაშობს, ვარჯიში დაწყებული კი მექნება, მაგრამ თამაშს ნაღდად ვერ მოვახერხებ. შეიძლება სექტემბრისთვისაც არ ვიყო მზად. ოქტომბერში კი, წესით თამაშს შევძლებ. გული მწყდება, ბევრი გამიცდა, მაგრამ თამაშების მეტი რაა, ადრე თუ გვიან მეც ვითამაშებ"*.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჯანაშია ისევ დინამოში ვარჯიშობს

გუშინდელ ნომერში თბილისის "დინამოს" თავდამსხმელ ზამირ ჯანაშიას შესახებ გაუწყებდით. ზუგდიდის "მგლების" პრეს-ატაშე **გელა ნაჭყებიამ** გვითხრა, რომ ჯანაშია არენდით "მგლებში" ითამაშებს.

თუმცა, გუშინ შევიტყვეთ, რომ ზამირმა ისევ "დინამოში" ივარჯიშა. ზუგდიდური კლუბის პრეს-ატაშეს დავუკავშირდით და დაუსტებულ-დაკონკრეტებული ამბავი გვითხრა: *"მე ახლა ვესაუბრე კლუბის პრეზიდენტ ლაშა დარასელიას, რომელმაც ზამირ ჯანაშიას არენდით თამაში შესთავაზა. საკითხი საბოლოოდ არაა გარკვეული, ზამირს "ბორჯომში" განათხოვრებას სთავაზობენ, მაგრამ ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, ზამირი მშობლიურ ქალაქში ითამაშებს"*.

**მერაბ მამულაშვილი**

მრეტები საქართველოს წინააღმდეგ

# გამარჯვება სტრასბურგის სასამართლოში

საფეხბურთო კლუბი "მრეტები" საქართველოს წინააღმდეგ - ასე ერქვა საქმეს, რომელიც ახლახან სტასბურგის სასამართლოში გაიმართა და "მრეტების" გამარჯვებით დასრულდა.

1995 წელს თბილისის "დინამომ" **გიორგი ქინქლაძე** "მანჩესტერ სიტის" ორ მილიონ გირვანქად მიჰყიდა და ქინქლაძის ყოფილ კლუბ "მრეტებს" ამ თანხიდან პენიც არ მისცა. არადა "დინამო"-"მრეტების" ხელშეკრულებაში მართლაც იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ "დინამო" ქინქლაძეს გაასხვისებდა, სატრანსფერო თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი "მრეტებსაც" უნდა შეხვედროდა. შეთანხმება დაირღვა, "მრეტების" პრეზიდენტმა **ვაჟა ჩხაიძემ** საქმის წარმოება ერთ-ერთ გერმანულ კომპანიას გადააბარა. საჩივარი მანამდე კრწანისის სასამართლომაც განიხილა, მაგრამ "მრეტები" აქედან ვერაფერს გამორჩა და საქმე ფიფაში გაირჩია. 2001 წელს, როცა "დინამო" შინაგან საქმეთა სამინისტროს დარჩა, "მრეტების" მხარემ ფიფას ვერდიქტის თანხმად გარკვეული თანხა აიღო, რომელიც იმაზე გაცილებით ნაკლები იყო, რამდენსაც ითხოვდა.

მაშ, ევროსასამართლო რაღა საჭირო იყო? სტრასბურგელმა მსაჯულებმა დაადგინეს, რომ "მრეტების" საკასაციო საჩივრის საქართველოს უზენაეს სასამართლოში არგანხილვა ადამიანის უფლებათა დარღვევა იყო. საკასაციო საჩივრის განხილვას"მრეტების" პრეზიდენტი ვაჟა ჩხაიძე ითხოვდა 2004 წელს.

სტრასბურგის სასამართლომ ქართულ მხარეს არანაირი ფინანსური ვალდებულება არ დააკისრა.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

## საქართველოს XIX ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. განაცხადები

### ოლიმპი

| | |
|---|---|
| მირზა მერლანი | ??.??.?? |
| მიხეილ ალავიძე | ??.??.?? |
| გიორგი ხარშილაძე | ??.??.?? |
| დავით [illegible]ვეიშვილი | ??.??.?? |
| ერნესტ აჰუსაგა | ??.??.?? |
| გიორგი ნავალოვსკი | ??.??.?? |
| ლევან სილაგაძე | ??.??.?? |
| ლაშა ქებაძე | ??.??.?? |
| გიორგი გახელიშვილი | ??.??.?? |
| ალექსანდრე კოშკაძე | ??.??.?? |
| რევან გენაძე | ??.??.?? |
| ვლადან ჟივკოვიჩი | ??.??.?? |
| ბოდრი ჯილდასი | ??.??.?? |
| ჯაბა დვალი | ??.??.?? |
| ვლადიმერ დვალიშვილი | ??.??.?? |

მთ. მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

### დინამო

| | |
|---|---|
| გიორგი ლორია | 27.01.86 |
| დიდიე ოვონო | 23.01.83 |
| სოსო გრიშიკაშვილი | 25.12.73 |
| გიორგი მაკარიძე | 31.03.90 |
| გულვერდ თომაშვილი | 13.10.88 |
| უჩა ლობჯანიძე | 23.02.87 |
| გურამ კაშია | 07.04.87 |
| მილოშ კრშკო | 23.10.79 |
| ოლეგ გველესიანი | 16.09.80 |
| შოთა კაშია | 22.10.84 |
| ნელ ზელიჩი | 07.04.71 |
| რომან დობეში | 29.07.78 |
| ლევან ხმალაძე | 04.06.85 |
| მიხეილ ხუციშვილი | 28.01.79 |
| გიორგი მერებაშვილი | 15.08.86 |
| დავით ოდიკაძე | 14.04.81 |
| ალექსანდრე კობახიძე | 02.11.87 |
| ნიკა ფირცხალავა | 15.05.87 |
| გიორგი ფეიქრიშვილი | 28.02.83 |
| დავით დიღმელაშვილი | 18.01.80 |
| ილია სპასოევიჩი | 09.11.87 |
| ბორის გონჩაროვი | 07.08.79 |
| ჯორჯ აკირემი | 23.04.82 |
| ზამირ ჯანაშია | 26.02.88 |

მთ. მწვრთნელი: დუშან უვრინი

### ამერი

| | |
|---|---|
| ლადო ნადირაშვილი | 12.02.84 |
| ზურაბ ქვაჩახია | 25.09.73 |
| ზურაბ გვაძაბია | 20.03.88 |
| გიორგი ელბაქიძე | 28.06.88 |
| გიორგი დავითნიძე | 18.07.78 |
| დავით მეედლიშვილი | 05.04.88 |
| სულიკო დავითაშვილი | 11.12.77 |
| გიორგი ნიკოლაიშვილი | 24.03.88 |
| ბესიკ ჩიმაკაძე | 24.06.88 |
| გიორგი დეკანოსიძე | 02.01.81 |
| რატი წინამძღვრიშვილი | 22.03.88 |
| კობა შალამბერიძე | 15.10.84 |
| გიზო ჯელაძე | 17.05.75 |
| დავით ბოლქვაძე | 05.06.80 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | 19.10.83 |
| მიხეილ მესხი | 07.04.78 |
| არჩილ ალავიძე | 10.08.82 |
| გრიგოლ დოლიძე | 25.10.82 |
| დენის დობროვოლსკი | 10.10.85 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | 04.04.72 |
| გივი დიდავა | 21.03.76 |
| გიორგი სილაგავა | 26.05.84 |
| მიხეილ კობაური | 11.06.82 |
| რევაზ გოცირიძე | 17.01.81 |
| თენგიზ ჩიკვილაძე | 12.08.83 |
| ბაჩანა ცხადაძე | 23.10.87 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | |

მთ. მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

### ზესტაფონი

| | |
|---|---|
| გრიგოლ ჭანტურია | 25.09.73 |
| როინ კვასხვაძე | 31.05.89 |
| ნიკოლოზ ჯალაღონია | 12.02.88 |
| კახა ჩხეტიანი | 24.02.78 |
| ედიკ საჯაია | 16.02.81 |
| სევასტი თოდუა | 13.05.76 |
| შალვა ლონდაძე | 17.08.78 |
| როინ ონიანი | 14.06.75 |
| ბორის გელაჭეიშვილი | 30.01.88 |
| გიორგი ხუმარაშვილი | 24.08.89 |
| ირაკლი შარანგია | 29.03.89 |
| ჟილვან ვიეირა | 09.04.84 |
| ნიკა კვასხვაძე | 15.04.88 |
| მურთაზ დაუშვილი | 01.05.89 |
| გიორგი გავაშელაშვილი | 31.10.89 |
| ამირან სანაია | 03.09.89 |
| ირაკლი ძარია | 01.12.88 |
| თორნიკე გორგიაშვილი | 27.04.88 |
| ალექსი ბენაშვილი | 20.03.89 |
| ჟონატას ტორესი | 01.04.84 |
| პოლ კესანი | 16.04.85 |
| ზურაბ იონანიძე | 02.12.71 |
| ბოგი ფიფია | 04.02.85 |
| დავით ჯანელიძე | 12.09.89 |
| გაგა ჩხეტიანი | 24.06.83 |
| ლაშა გაბრიჭიძე | 21.02.89 |

მთ. მწვრთნელი: თემურ მახარაძე

### ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| გრიგოლ ბედიაშვილი | 07.02.80 |
| შოთა ლურბელეიშვილი | 02.12.85 |
| არდალიონ მიქაბერიძე | 02.06.86 |
| დავით ლომაია | 18.05.85 |
| ლაშა ჯაფარიძე | 16.04.85 |
| ალექსი კაიშაური | 10.09.87 |
| პავლე დათუნაიშვილი | 25.08.83 |
| რატი იმერლიშვილი | 04.02.88 |
| ალექსანდრე კვახაძე | 17.08.84 |
| გურამ ადამაძე | 31.08.88 |
| ლუკა რაზმაძე | 30.12.83 |
| გიორგი კვალინიძე | 06.03.87 |
| გიორგი მელქაძე | 24.11.84 |
| რევაზ ინჯგია | 02.01.86 |
| გიორგი დათუნაიშვილი | 09.02.85 |
| დავით მაისაშვილი | 18.02.89 |
| ვასილ ლუჭაშვილი | 26.01.85 |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 05.08.85 |
| გიორგი ბერიაშვილი | 10.09.86 |
| ზაზა სახოკია | 12.02.84 |
| ჯაბა ლიპარტია | 16.11.87 |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 30.05.88 |
| გიგა ბეჭვაია | 29.08.86 |

მთ. მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

### სიონი

| | |
|---|---|
| მინდია ბოზლიაშვილი | 02.08.83 |
| გიგა იაშვილი | 27.02.86 |
| დავით ასლანაძე | 16.11.76 |
| დავით სვანიძე | 14.10.79 |
| გიორგი ოქროპირიძე | 01.03.86 |
| ლევან ბაჯელიძე | 02.10.78 |
| თემურ რაქვიაშვილი | 15.10.83 |
| ბესო ქარდავა | 12.11.83 |
| ერიკ რომეო ჩასემი | 09.02.85 |
| ბოიომო ფრიდოლინი | 04.08.82 |
| გიორგი პაპუაშვილი | 02.04.86 |
| ზვიად ქუთათელაძე | 01.08.79 |
| მანუჩარ კვიციანი | 16.01.83 |
| მამუკა მენთესაშვილი | 15.09.87 |
| მიხეილ ბუცხრიკიძე | 03.04.85 |
| გიორგი თავბერიძე | 07.03.87 |
| გიორგი რეხვიაშვილი | 15.04.86 |
| ლევან სანიკიძე | 09.06.82 |
| ვალერი გაგუა | 26.02.80 |

მთ. მწვრთნელი: ნოდარ აკობია

### ბორჯომი

| | |
|---|---|
| ბექა შეყრილაძე | 28.02.83 |
| თემურ ლონდაძე | 08.09.85 |
| გივი ქარქოზაშვილი | 20.09.86 |
| კობა ხანიშვილი | 29.07.84 |
| ამირან ყველაშვილი | 10.02.85 |
| შოთა ჯიქია | 30.12.84 |
| შოთა გრიგალაშვილი | 21.06.86 |
| ლევან მერებაშვილი | 06.06.69 |
| გიორგი მემარნიშვილი | 28.03.82 |
| დავით გოგიჩაიშვილი | 04.06.86 |
| შოთა ბაბუნაშვილი | 17.11.80 |
| გიორგი ნერგაძე | 20.08.82 |
| ლაშა ჭელიძე | 13.03.85 |
| ლევან აკობია | 11.02.80 |
| ვალერი კაციტაძე | 17.01.81 |

მთ. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

### ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| დავით გვარამაძე | 11.08.75 |
| ომარ მიგინეიშვილი | 06.02.84 |
| გიორგი მიქაძე | 12.10.80 |
| ირაკლი სამხარაძე | 02.12.83 |
| აკაკი ქუხილავა | 20.01.83 |
| დაჩი ფოფხაძე | 27.01.81 |
| ნიკა გუშარაშვილი | 25.07.83 |
| მიხეილ ჟლენტი | 24.06.85 |
| გიორგი გულორდავა | 06.04.87 |
| გიორგი ალავერდაშვილი | 21.11.87 |
| გიორგი კვახაძე | 16.08.81 |
| ირაკლი მალიჩავა | 03.07.84 |
| ალექსანდრე ლალაძე | 12.04.85 |
| გაგა კირკიტაძე | 18.10.87 |
| ლერი ხოხონიშვილი | 15.11.87 |
| ლევან ჩაგელიშვილი | 10.01.87 |
| დავით ჩაგელიშვილი | 10.01.87 |

მთ. მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

### სპარტაკი

| | |
|---|---|
| ბესო კოდალაევი | 21.02.82 |
| მაქსიმე ქვილითაია | 17.09.85 |
| დიმიტრი პარამონოვი | 02.08.80 |
| ბესიკ ხაჭიპერიძე | 19.12.84 |
| კახაბერ ცქვიტაია | 27.09.84 |
| დავით გოგოლაძე | 24.09.79 |
| გიორგი კეტაშვილი | 02.01.87 |
| გიორგი ხიდაშელი | 21.11.85 |
| გიორგი ივანაშვილი | 12.07.87 |
| ნუკრი გოგოხია | 07.02.88 |
| გიორგი დარბაიძე | 24.12.89 |
| თორნიკე თარხნიშვილი | 30.06.90 |
| ვახტანგ კეკოშვილი | 13.12.86 |
| ნიკოლოზ ძავთარაძე | 17.05.88 |
| ლაშა მამუკაშვილი | 24.05.85 |

მთ. მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

### მესხეთი

| | |
|---|---|
| გიორგი სომხიშვილი | 27.11.80 |
| გელა ძამუნაშვილი | 31.03.81 |
| პაატა გვირჯიშვილი | 17.02.78 |
| მიხეილ თაყაძე | 21.07.79 |
| ვახტანგ აკოფიანი | 15.08.75 |
| დიმიტრი ლეკიშვილი | 17.10.81 |
| ზაზა კობესაშვილი | 12.09.72 |
| მამუკა რუსია | 27.11.74 |
| დავით ინასარიძე | 24.02.76 |
| თემურ აფრიამაშვილი | 08.02.86 |
| გიგა ჟვანია | 16.01.82 |
| გიორგი ნადირაშვილი | 27.02.83 |
| ზურაბ სულაძე | 09.12.82 |
| ზურაბ ბარძიმაძე | 05.04.84 |
| ლაშა მამუკაშვილი | 24.05.85 |
| გიორგი თურმანიძე | 29.02.73 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | |

მთ. მწვრთნელი: კობა თედიაშვილი



ოლიმპი და დინამო პირველივე ტურში ერთმანეთს ხვდებიან

### მგლები

| | |
|---|---|
| აკაკი დევაძე | 28.11.71 |
| მანუჩარ ივარდავა | 23.07.82 |
| დავით ძირია | 08.02.82 |
| ლევან ვართაგავა | 10.08.81 |
| დავით ნარსია | 03.08.82 |
| ვლადიმერ ლიპარტია | 30.03.81 |
| გელა ხუბუა | 25.01.84 |
| მამუკა ჭკადუა | 14.11.85 |
| ზურაბ ექონია | 07.06.84 |
| პაატა ბაკარანძე | 20.03.82 |
| გიორგი კრასოვსკი | 20.12.79 |
| ვლადიმერ ჯოჯუა | 05.12.80 |
| თეიმურაზ ფარულავა | 20.07.83 |
| ლევან კუტალია | 19.07.83 |
| ნიკა ხუხია | 21.08.88 |
| დავით კუტალია | 15.12.89 |
| ნოდარ მაჟავარიანი | 14.01.87 |
| გიორგი გაბედავა | 03.10.89 |
| გიორგი ჭედია | 28.08.88 |
| ბექა ტაბატაძე | 03.02.86 |
| ლევან წურწუმია | 28.01.89 |
| პაპუნა ქომეთიანი | 03.04.88 |
| მურთაზ კაკაბაძე | 28.07.87 |

მთ. მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

### ბათუმი

| | |
|---|---|
| ირაკლი თოთლაძე | 16.03.84 |
| შოთა მამინაშვილი | 30.08.86 |
| დავით გალოგრე | 09.01.81 |
| ლევან მახარაძე | 08.06.86 |
| ირაკლი ცანავა | 28.10.85 |
| არჩილ ფარტენაძე | 07.08.87 |
| ვასილ კუნძულია | 24.09.85 |
| გიორგი ოქრუაშვილი | 12.06.86 |
| გენადი ბეჟანიძე | 16.11.84 |
| ამირან გოგიტიძე | 14.02.87 |
| კარენ მაკარიანი | 03.03.88 |
| არჩილ ბაჯელიძე | 07.04.86 |
| ირაკლი ტულუში | 08.09.85 |
| ბესიკ დემურაძე | 19.09.86 |
| ბეგლარ თედორაძე | 25.10.83 |
| ვიტალი დარჩიძე | 02.05.81 |
| მიხეილ კალანდარიშვილი | 20.04.87 |
| ირაკლი ნაჭყებია | 29.10.85 |

მთ. მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

### მერანი

| | |
|---|---|
| კონსტანტინე სეფიაშვილი | 19.03.86 |
| ლევან სარალიძე | 08.04.86 |
| ბექა ნოზაძე | 09.02.82 |
| ლაშა ჯანგიძე | 11.05.83 |
| ზურაბ ავალიანი | 20.05.79 |
| ვაჟა ლომაშვილი | 04.09.85 |
| მანუჩარ ნიქარიშვილი | 28.04.85 |
| გიორგი კილასონია | 21.05.86 |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | 05.07.76 |
| გიორგი ლოლაძე | 19.10.80 |
| გიორგი ტყეშელაშვილი | 24.08.85 |
| დავით სევასტოპულო | 10.08.82 |
| კონსტანტინე ავალიანი | 20.10.85 |
| თენგიზ კობიაშვილი | 3.12.75 |
| ლევან გრიგალაშვილი | 27.01.86 |
| გიორგი ქორიძე | 19.07.76 |
| დავით გიგაური | 15.01.86 |
| იაკობ დეისაძე | 19.01.87 |
| თემურ ფურთუხია | |

მთ. მწვრთნელი: თამაზ კოსტავა

### დილა

| | |
|---|---|
| თამაზ ილურიძე | 11.04.75 |
| ბესიკ კეჩხუაშვილი | 27.06.87 |
| ნიკოლოზ სადალაშვილი | 10.10.88 |
| ივანე თაყაძე | 02.05.86 |
| გიორგი ბალაშვილი | 08.07.73 |
| გურამ სამადაშვილი | 02.05.86 |
| საბა სულთანიშვილი | 04.04.79 |
| დავით ხანიშვილი | 27.04.82 |
| ბექა ჩიტაია | 02.04.80 |
| დავით ტლაშაძე | 17.12.87 |
| იოსებ კურტანიძე | 09.04.87 |
| ნოდარ ნოზაძე | 11.06.87 |
| გიორგი მასურაშვილი | 04.07.84 |
| ჭიორჭი იჩქითი | 29.04.90 |
| ქრისტეფორე შატაკიშვილი | 04.08.79 |
| ზაზა ლაცაბიძე | 05.10.75 |
| ლაშა ბალიაშვილი | 21.09.88 |
| ზურაბ შერმადინი | 15.01.88 |
| ილია ლომიძე | 04.11.89 |

მთ. მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე



უტევს ზაალ ელიავა (20)

ლეგიონერები

# ქართველთა ამბები

ლიტვის ჩემპიონატის 22-ე ტურში ლიდერი "კაუნასი" შინ "ჟალგირისს" დაუზავდა - 1:1, თუმცა პირველი ადგილი მაინც შეინარჩუნა. "კაუნასის" რიგებში მხოლოდ ერთმა ქართველმა **გივი კვარაცხელიამ** ითამაშა. **ნუკრი მანჩხავა** განაცხადში არ ყოფილა. "კაუნასი" კიდევ ერთხელ დასუსტდა, რაც რამდენიმე ფეხბურთელი მიავლინა "ჰართსში", მათ შორის ბომბარდირი **ბენიუშისი**. კვარაცხელიამ 90 წუთი ითამაშა. **აკაკი ხუბუტიას** "შილიუტე" ლიდერის მდევარ "ვილნიუსს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. აკაკის ყოფილი კლუბის წინააღმდეგ (მარშან ქართველი მცველი "ვილნიუსში" თამაშობდა) არ უთამაშია. "კაუნასი" 44 ქულით პირველია და "ვილნიუსს" ორი ქულით უსწრებს. "შილიუტე" 13 ქულით ბოლოსწინაა.

ლატვიაში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა, **თამაზ პერტიას** "დინაბურგი" სტუმრად 0:3 დამარცხდა "იურმალასთან". ქართველი მწვრთნელის გუნდში 90 წუთი ითამაშა **ლევან კორღალიძემ**. "დინაბურგი" 14 ქულით მეექვსე ადგილზეა. "სკონტოს" ოფიციალური საიტის ცნობით, **ზაალ ელიავა** ტრავმირებულია და დღეს "რიგასთან" დერბიში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ბელარუსის ჩემპიონატის მე-15 ტურში დებიუტანტმა "სმორგონმა" ლიდერი "ბატე" 1:0 დაამარცხა. "სმორგონის" ქართველ შემტევ **სულიკო კაკაბაძეს** არ უთამაშია. **რომან გოგინაშვილის** ბრესტის "დინამომ" მინსკის "დინამოს" წუხელ უმასპინძლა. "სმორგონი" 18 ქულით მეცხრე ადგილზეა, "ბრესტი" 13 ქულით მეთერთმეტეა.

რუსეთის პირველ დივიზიონში მახაჩყალაში "ანჟი" 0:0 დაუზავდა "ალანიას". **ომარ თეთრაძის** გუნდში **გოჩა ხოჯავასა** და **ზურაბ არზიანს** არ უთამაშიათ. ბრიანსკის "დინამო" "სიბირს" ესტუმრა და დამარცხდა - 1:2. **პაატა ჯინჭარაძემ** შეუცვლელად ითამაშა.

ყაზახეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში "შახტიორმა" 3:1 დაამარცხა "ოკჟეტპესი". სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ქართველი იყო, ნახევარდაცვის ცენტრში გამოცდილ **მიხაილ მიხოლაპსს ლაშა ნოზაძე** შეუწყვილდა. "შახტიორი" 35 ქულით მეორე ადგილზეა. წინა ტურში, მარცხისთვის კლუბი ფინელმა მწვრთნელმა **იუჰა მალინენმა** დატოვა. **გიორგი მეგრელაძის** ახალი კლუბი "ჟეტისუ" შინ 1:2 დამარცხდა "ტობოლთან". მეგრელაძე 76-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# ერიქსონს კარში ამელია უნდა

## ...და კიდევ ერთი ფეხბურთელი იტალიიდან: პალერმო ბრეშანოს ადასტურებს. რატომ არ სწყალობს სვენი ინგლისელებს?



მარკო ამელია

"მანჩესტერ სიტი" კვლავაც აქტიურ სატრანსფერო კამპანიაშია ჩართული. **სვენ გორან ერიქსონის** მადას საზღვარი არ უჩანს. უკვე მის ხელთაა სერია A-ს ყოფილ მოთამაშეთა მეტად საინტერესო ჯგუფი, რამაც კლუბს საშუალება უნდა მისცეს, მაჩანჩალათა რიგებს საბოლოოდ დააღწიოს თავი და მაღალი ადგილებისთვის იბრძოლოს. თუმცა სვენის ერთ-ერთი ბოლო სატრანსფერო ჩანაფიქრი უფრო იძულებითია, ვიდრე სურვილიდან გამომდინარე. საქმე ისაა, რომ მძიმე ტრავმა მიილო "სიტის" ძირითადმა მეკარე **ანდრეას ისაკსონმა** და კარგა ხნით გამოვიდა მწყობრიდან. ამბიციურ ერიქსონს მის შემცვლელად **მარკო ამელია** ესახება. "ლივორნოს" ნიჭიერი მეკარე, რომელიც ამავე დროს "სკუადრა აძურის" მესამე ნომერიც გახლავთ, არაერთი კლუბის თვალთახედვის არეშია მოქცეული. 25 წლის ამელიაზე პრეტენზიას რუსული კლუბებიც აცხადებდნენ და დღესაც არ ამბობენ უარს იტალიელის ხელში ჩასაგდებად. ამ მხრივ, განსაკუთრებით, "სპარტაკი" გამოირჩევა. მაგრამ ასპარეზზე "მანჩესტერ სიტის" გამოჩენა რუსეთის "სახალხო გუნდს" ამ ბრძოლაში გამარჯვების შანსს თითქმის არ უტოვებს.

როგორც დღევანდელი "თაიმსი" წერს, "სიტის" ახალ მფლობელ **ტაქსინ შინავატრას** იტალიელი მეკარის შესაძენად სპეციალურად გამოუყვია 5 მილიონი გირვანქა. მაგრამ ერიქსონს სათადარიგო ვარიანტებიც აქვს. მას **პეპე რეინა** და **სკოტ კარსონიც** მოსწონს. ორივე "ლივერპულის" გოლკიპერია. მაგრამ მათი გასხვისება **რაფა ბენიტესის** გეგმებში არ შედის, განსაკუთრებით, კარსონის. ამიტომ, ამელიას ფრონტზე გააქტიურებაა მოსალოდნელი.

კიდევ ერთი ინფორმაცია ერიქსონის იტალიურ სამიზნეზე. ამჯერად, საქმე ეხება შემტევ ნახევარმცველ **მარკ ბრეშანოს**. ბრეშანო ავსტრალიელია. ის "პალერმოს" ღირსებას იცავს. "სიტისთან" კონტაქტს ადასტურებს სიცილიელთა პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინიც**. მისი თქმით, პრემიერლიგური კლუბი ბრეშანოში 8 მილიონ ევროს იძლევა. თუ ერიქსონი ამ ორ ტრანსფერს განახორციელებს, მოკლე ხანში მისი დანახარჯი 70 მილიონ ევროს (!) მიუკაკუნებს.

■ ■ ■

ბრიტანული პრესა სულ უფრო მეტად ინტერესდება ერიქსონის სატრანსფერო პოლიტიკით და ცდილობს, გაშიფროს ამ პოლიტიკის არსი. ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ შვედის დანიშვნის შემდეგ "სიტის" მიერ შეძენილი 8 ფეხბურთელიდან ყველა უცხოელია. მედია მას სწორედ ამის გამო საყვედურობს. მაგრამ სვენი კატეგორიულად უარყოფს იმ აზრს, თითქოს ის ადგილობრივ ტალანტებს არ სცნობს. აქ მიზეზი სხვა რამ გახლავთ:

*"ეს ასე არის. ჩვენ გვყავს მაიკლ ჯონსონი, მიკა რიჩარდსი, ნედუმ ონუბა... ცხადია, ისინი 38-ვე მატჩს ვერ ჩაატარებენ, მაგრამ სერიოზული სათამაშო პრაქტიკა აუცილებლად ექნებათ. ისინი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან. მაგრამ მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ ვყიდულობთ უფრო მეტ ინგლისელს, ესაა მათი მაღალი, ხშირად კი არარეალური სატრანსფერო ფასი. ამიტომაც ვიყურებით ინგლისის ფარგლებს გარეთ".*

ამავე დროს, მოელიან, რომ ჩემპიონატის საწყის ფაზაში ერიქსონს ძალიან გაუჭირდება, რადგან დრო, რომელიც გუნდის შეთამაშებას სჭირდება, მას ძალიან ცოტა ჰქონდა და კიდევ უფრო ცოტა დარჩა. პრემიერლიგა ამ უიქენდზე იწყება. პირველ მატჩში "სიტი" გასვლაზე "ვესტ ჰემს" ეთამაშება. სვენის მთავარი ამოცანაა, ამ დღეებში მაქსიმალურად იზრუნოს ახალი მოთამაშეების ინტეგრაციაზე. ის სნუხს იმაზე, რომ ბრაზილიელ ფორვარდ **ელანოს** "კოპა ამერიკის" შემდეგ თითქმის არაფერი გაუკეთებია. ესპანელმა მცველმა **ხავი გარიდომ** კი მხოლოდ ორი სრული ვარჯიში ჩაატარა. ამას ემატება ზემოთ ნახსენები მეკარის პრობლემაც. გარდა ისაკსონისა, ტრავმირებულია **ჯო ჰარტიც**. მესამე კიპერმა **კასპერ შმაიხელმა** კი "ვალენსიასთან" ამხანაგურ მატჩში, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დატოვა იმ მეკარის შთაბეჭდილება, რომელსაც პრემიერლიგის ჭაპანის გაწევა შეუძლია.

ფიორენტინა

# ვიოლას მაქსიმუმი: მაქსი როდრიგესი

**გახსოვთ მაქსი როდრიგესი** და გასულ მუნდიალზე მისი ბრწყინვალე გოლი მექსიკელთა კარში? ჰოდა, სწორედ ამ როდრიგესზე გვიყვება ესპანური გამოცემა as, რომელიც არგენტინელ მარჯვენა ნახევარმცველს "ფიორენტინაში" გადასვლას უწინასწარმეტყველებს. როგორც პოპულარული ინტერნეტ-გვერდი გვაუწყებს, ფლორენციული კლუბი მზადაა, როდრიგესში 18 მილიონი ევრო გადაიხადოს. მაგრამ "ატლეტიკო" ასე იოლად არ დანებდება. "როხიბლანკომ" ამ ზაფხულს უკვე გაყიდა თავისი სიმბოლო **ფერნანდო ტორესი** და მიუხედავად იმისა, რომ აქტიური სატრანსფერო კამპანიის ხარჯზე ეს დანაკლისი გეგმის გადაჭარბებითაც შეავსო, როდრიგესის გაყიდვას მაინც მოერიდება. კლუბის პრეზიდენტი **ენრიკო სერესო** აუცილებლად გაუწევს ანგარიშს ფანების აზრს, ეს აზრი კი აშკარად ფეხბურთელის შენარჩუნების სასარგებლოდაა.

ზოგიერთი ინფორმაციით, "ფიორენტინის" სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო** უშუალოდ ფეხბურთელს ესაუბრა და წლიური ანაზღაურების სახით 1.5 მილიონი ევროც აღუთქვა. მაგრამ სინიორ კორვინომ იჩქარა და შეცდომა დაუშვა. საქმე ისაა, რომ მაქსის "ატლეტიკოში" ამაზე დიდი ხელფასი აქვს. ასე რომ, "ფიორენტინას" შეთავაზების გადახედვა მოუწევს.

რაც შეეხება **ჩეზარე პრანდელის**, მას ეს ფეხბურთელი კარგა ხანია მოსწონს. როცა ის 2004 წელს "რომაში" დაინიშნა (სადაც მხოლოდ ორი თვე დაჰყო), როდრიგესის შეძენა მაშინაც სურდა. ახლა რამდენად მარტივია ამის გაკეთება, კაცმა არ იცის. სავარაუდოდ, 26 წლის როდრიგესი დანიელი **მარტინ იორგენსენის** ალტერნატივა უნდა იყოს. თუ ტრანსფერი შედგა და თანაც ამ თანხაში, ეს იქნება "ფიორენტინის" მაქსიმუმი, რაც კი ამ კლუბს ოდესმე ერთ გარიგებაში დაუხარჯავს.



მაქსი როდრიგესი

მანჩესტერ იუნაიტედი

# ტევესი: დებიუტი ოთხშაბათს

## ჰაინცეს ლივერპულში ტრანსფერის საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს

**კარლოს ტევესის** მანჩესტერული დებიუტი ხვალ შედგება. ამ დღეს "იუნაიტედი" შოტლანდიის "დანფერმლაინთან" გასვლით ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. **სერ ალექს ფერგიუსონი** არგენტინელის გამოჩენას მოუთმენლად ელოდება. ფერგი ახალწვეულს დიდ იმედებს უკავშირებს. ტევესის სატრანსფერო საგა გასულ უქმეებზე დასრულდა. "ვესტ ჰემი" და **კია ჯურაბჩიანი** ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებზე შეთანხმდნენ. შედეგად, ჯურაბჩიანმა კარლოსის "მანჩესტერში" გადასვლით 10 მილიონი გირვანქა დაიბევა, "ვესტ ჰემს" კი 2 მილიონი ერგო. ცნობილია ისიც, რომ კარლოსი "იუნაიტედთან" 2+3 სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს და წლიურად 4 მილიონ გირვანქას გადაუხდიან.

ოთხშაბათს "ეშმაკებს" მეორე საკონტროლო მატჩიც აქვთ დანიშნული - ჩრდილოეთი ირლანდიის "გლენტორანთან". ამ უკანასკნელს "იუნაიტედის" სარეზერვო გუნდი შეხვდება. შაბათს კი პრემიერიგის მორიგი გათამაშება დაიწყება. პირველ ტურში მანჩესტერელთა მეტოქე შარშანდელი სეზონის აღმოჩენა "რედინგი" იქნება. ფერგიუსონს ჯერ არ გადაუწყვეტია, სად ათამაშოს ტევესი, "დანფერმლაინთან" თუ "გლენტორანთან", მაგრამ კარლოსი მანჩესტერელთა შემადგენლობაში პირველ მატჩს რომ ამ დღეს ჩაატარებს, ეჭვი არ ეპარება: *"ის აუცილებლად გავა მინდორზე. შეიძლება, "რედინგთან" მატჩშიც კი ვათამაშო. თუ რედინგთან არა, მომდევნო ტურში მაინც."* კითხვაზე, ტევესი და უეინ რუნი ძალიან ხომ არ გვანან ერთმანეთს, ფერგიმ მიუგო: *"დიახ, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. ფიზიკურად ორივე ძლიერია, საუცხოოდ თამაშობენ ორივე ფეხით და ორივეს შეუძლია მეტოქის მოტყუება. "მანჩესტერისთვის" ეს ძალიან კარგია."*

სერ ალექსმა დაადასტურა, რომ "დანფერმლაინთან" სხვა ახალწვეულები - **ოუენ ჰარგრივსი, ნანი** და **ანდერსონიც** ითამაშებენ. ჰარგრივსმა ტრავმა მოიშუშა და შაბათს "პიტერბოროსთან" (3:1) მეორე ტაიმში ითამაშა. ცნობისთვის, ამ გუნდს ფერგის უფროსი ვაჟი დარენი ავარჯიშებს. ოუენი კი იმედოვნებს, რომ "რედინგთან" შაბათის მატჩისთვის მზად იქნება.

ტევესის დასაკუთრების შემდეგ, "იუნაიტედმა" კიდევ ერთი ფეხბურთელის საკითხი უნდა გაარკვიოს. საუბარია **გაბრიელ ჰაინცეზე**. არგენტინელ მარცხენა მცველს "ლივერპული" ეპატიუება. ფერგის მისი გაყიდვა არ სურს. ის ფეხბურთელთან შეხვედრას და პრობლემის უსწრაფესად გადაჭრას აპირებს. *"მას (ჰაინცეს) შევატყობინეთ, რომ სამშაბათს მანჩესტერში უნდა იყოს. იმედია, არ დააგვიანებს,"* - განუცხადა სერ ალექსმა "მირორს".



კარლოს ტევესი



ჟოზე მოურინიო

ჩელსი

# არისტოკრატები ისევ კრიზისში

## მანჩესტერთან რვა ფეხბურთელმა ვერ ითამაშა, ტერის ნაკრების სამი მატჩის გამოტოვება ემუქრება, ბალაკი კი რეალს კატეგორიულად უარყოფს...

**პრემიერლიგის** განახლებამდე ხუთი დღით ადრე "ჩელსიში" ისევ კრიზისული ვითარება შეიქმნა. მიზეზი ტრავმებია. "მანჩესტერ იუნაიტედთან" "ქომიუნითი შილდის" მატჩში "არისტოკრატებს" რვა ფეხბურთელი არ ჰყავდათ (**ტერი, დროგბა, შევჩენკო, ბრიჯი, ბალაკი, ფერეირა, კალუ და მაკელელე**). კიდევ ოთხი მოთამაშე ამ შეხვედრის პირველსავე ტაიმში დაშავდა. "ბირმინგემთან" პირველი ტურის შეხვედრას კი მინიმუმ ორი მათგანი გამოტოვებს: **ჯონ ტერი** და **დიდიე დროგბა**. ტერის მუხლი აწუხებს და ერთი თვე დაისვენებს, დროგბას კი ათდღიანი იძულებითი შვებულება ემუქრება. აი, რა განაცხადა **ჟოზე მოურინიომ** "მანჩესტერთან" ნამატჩევს: *"პირველ ტაიმში პეტრ ჩეხი, გლენ ჯონსონი, ფლორან მალუდა და შონ რაიტ-ფილიპსი დაშავდნენ. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. პეტრმა და შონმა შეუცვლელად ითამაშეს, გლენმა და ლორანმა კი ვერა. ეს იყო პირველი შემთხვევა ჩემს კარიერაში, როცა მინდორზე ერთი თავდამსხმელიც კი არ მყავდა. ამის მიუხედავად, წინა ხაზში დაყენებულმა ფეხბურთელებმა ამოცანას საუცხოოდ გაართვეს თავი და "ჩელსის" თამაშს სიმწვავე, სისწრაფე და დინამიზმი შემატეს. "ჩელსის" საუკეთესო ფეხბურთელების ნახევარი არ ჰყავდა, "მანჩესტერ იუნაიტედი" კი თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობდა. ამის მიუხედავად, მეტოქეს ტოლი არაფერში დავუდეთ. "ჩელსი" სათადარიგო შემადგენლობითაც კი კონკურენტუნარიანი და ძნელად დასამარცხებელი გუნდია."*

ჯონ ტერის ტრავმა მარტო "ჩელსის" დანაკლისი არ არის. ლონდონელთა კაპიტანს ინგლისის ნაკრების მომდევნო ორი საკვალიფიკაციო მატჩის გამოტოვება ემუქრება. გერმანიასთან 22 აგვისტოს ამხანაგურ შეხვედრაში ის ნამდვილად ვერ ითამაშებს. საეჭვოა, მან ისრაელთან და რუსეთთან 8 და 12 სექტემბერის თამაშებისთვის გამოჯანმრთელება მოასწროს.

აქვე, **მიხაელ ბალაკის** კომენტარი, რომელიც მან გუშინ გააკეთა. გერმანელი ვარსკვლავი გამოეხმაურა სპეკულაციებს რეალში მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ და თქვა, რომ ლონდონიდან აბარგება აზრადაც კი არ მოსვლია: *"მე ჩელსის ერთგული ვარ. აქ ტიტულების მოსაგებად ჩამოვედი. ინგლისში წარმატებული კარიერის გაკეთება მინდა. ლონდონში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. აქ ყველა პირობაა შექმნილი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. ხმები, მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია. "რეალთან" არავითარი კავშირი არ მქონია. ერთადერთი, რაც მაწუხებს, ჩემი ტრვმაა. ბევრს ვმუშაობ იმისთვის, რომ მინდორს ოპტიმალურ ფორმაში დავუბრუნდე."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

# არანაირი პანიკა!

## რანიერი: ველოდი, რომ წავაგებდით...



კლაუდიო რანიერი

**კლაუდიო რანიერიმ** პასუხი გასცა კრიტიკას, რომელიც "იუვენტუსს" ორი ამხანაგური მატჩის წაგების გამო დაატყდა თავს. "ბიანკონერი" ჯერ "ნიუკასლთან" დამარცხდა 0:2, შემდეგ კი "ჰამბურგთან" და აქაც "მშრალი" ანგარიშით, 0:1. ცხადია, მწვრთნელი ვალდებული იყო, ჟურნალისტებს შეხვედროდა და გარკვეული ახსნა-განმარტება გაეკეთებინა. ფაქტია, "იუვეზე" ფსიქოლოგიური წნეხი ისედაც დიდია და რანიერი მოუწოდებს პრესას, რომ უადგილო კრიტიკით სიტუაცია ზედმეტად არ დაძაბოს.

*"ის ორი მარცხი, რომელიც ინგლისსა და გერმანიაში განვიცადეთ, მოსალოდნელიც იყო. ჩემი აზრით, შეცდომები, რომელიც უხვად დავუშვით, ერთგვარად სასარგებლოცაა და რაც უფრო ადრე დავინახავთ ამ შეცდომებს, მით უკეთესი იქნება მოსამზადებელი პერიოდისთვის".*

კრიტიკის მთავარ ობიექტად, მიუხედავად იმისა, რომ ორ მატჩში გუნდმა ერთი გოლიც ვერ გაიტანა, რჩება დაცვის ხაზი, რომელიც ხსენებულ თამაშებში აბსოლუტურად დეზორგანიზებული იყო, ხოლო ზოგ შემთხვევაში აბსოლუტურად უსუსურად გამოიყურებოდა. რანიერის ამ შემთხვევაშიც აქვს არგუმენტი:

*"ნორმალურია, რომ დაცვასაც სჭირდება დრო, რათა შეთამაშდეს. ამას გარდა, უკანა ხაზს ნახევარმცველებიც უნდა ეხმარებოდნენ. ტიაგო და ალმირონი კი უფრო წინ თამაშზე ფიქრობდნენ. თავიანთი ხასიათითა და ამპლუით, ისინი შემტევი ნახევარმცველები არიან და ამიტომ, ნელ-ნელა უნდა მიეჩვიონ მცველების დახმარებასაც. "ჰამბურგთან" მატჩის წინ ვთხოვე ძანეტისა და ნოჩერინოს, რომ უფრო მეტად ეთამაშათ ბურთისართმევაზე და ამან მყისვე შედეგი გამოიღო".*

"იუვენტუსი" ახლა "ბირა მორეტის" ტრადიციული ტურნირისთვის ემზადება. მასში "ინტერი" და "ნაპოლიც" მიიღებენ მონაწილეობას. ესაა ერთდღიანი გათამაშება, რომლის ყველა მატჩი 8 აგვისტოს გაიმართება, თანაც თითოეული შეხვედრა მხოლოდ ერთ, 45-წუთიან ტაიმს მოიცავს.

მოსკოვური ტურნირის შემდეგ

# ანჩელოტი: ეს არ არის ნამდვილი მილანი

## შუსტერმა, ეინდჰოვენთან წაგება ტრაგედია არ არისო...

"მილანმა" და "რეალმა" მოსკოვში, "რუსეთის რკინიგზის თასზე" უსახურად ითამაშეს. თუ ესპანური პრესა სამეფო კლუბის გამოსვლას თავშეკავებით შეხვდა, იტალიურმა მედიამ "როსონერის" კრიტიკა არ დააკლო. საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი არც **კარლო ანჩელოტი** ყოფილა. "მილანმა" მოსკოვში ორი მატჩი გამართა და ძირითად დროში ორივე ფრედ დასრულა. პირველ შეხვედრაში, ანჩელოტის შეგირდებმა პენალტების სერიაში დაამარცხეს ტურნირის მასპინძელი "ლოკომოტივი", მაგრამ მერე, ასევე პენალტების სერიაში, თავად დათმეს მატჩი "ეინდჰოვენთან", რომელმაც საბოლოოდ "რკინიგზის თასიც" მოიგო, დაამარცხა რა ფინალში "რეალი" 2:1.


კარლო ანჩელოტი

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გრანდებმა ახალი სეზონისთვის მზადება ეს-ესაა დაიწყეს. ანჩელოტის თქმით, მის გუნდს ძალიან ბევრი შრომა დასჭირდება საიმისოდ, რათა სერია A-ს სტარტს მომზადებული შეხვდეს.

*"უამრავი შეცდომა დავუშვით და საშუალება მივეცით "ლოკომოტივს", სივრცე ეკონტროლებინა. განსაკუთრებით უკმაყოფილო ვარ პირველი ტაიმებით. მხოლოდ მაშინ ვთამაშობდით უკეთ, როცა თამაშის ბოლოს ტემპი ეცემოდა. აქედან გამომდინარე, ბევრი ოფლისღვრა მოგვიწევს და იმედს ვიტოვებ, რომ სასურველ ფორმაში მალე ვიქნებით".*

ანჩელოტისგან განსხვავებით, "რეალის" ახალი მწვრთნელი **ბერნდ შუსტერი** თავისი გუნდის მოსკოვური პრეზენტაციით კმაყოფილი დარჩა. რა თქმა უნდა, შედეგი სამეფო კლუბს უკეთესი ჰქონდა, რაკი ფინალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ყველაზე მეტი (6) გოლიც გაიტანა, მაგრამ ბევრიც (4) გაუშვა, თანაც, ხსენებულ ფინალში მასზე პოტენციურად სუსტ "ეინდჰოვენთან" წააგო. აი, შუსტერის კომენტარიც:

*"ბიჭების გარჯით კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის ფრიად მოულოდნელი იყო ორივე მატჩის პირველ ტაიმებში გაშვებული ორ-ორი გოლი. მეორე ნახევარში სიტუაციის გამოსწორება ვცადეთ და თუ "ლოკომოტივთან" ეს კარგად გამოგვივიდა, "ეინდჰოვენთან" ვერაფერს გავხდით. მაგრამ ჩვენთვის ეს ტრაგედია არ არის. არდადეგებიდან ხომ ახლახან დავბრუნდით და რა გასაკვირია, რომ სასურველი კონდიციებისგან გვარიანად შორს ვართ".*

კითხვაზე - ზედმეტად ხომ არ არის "რეალის" თამაში დამოკიდებული **გუტის** ხასიათზე, შუსტერმა ასეთი პასუხი გასცა: *"ისეთი ფეხბურთელი, როგორიც გუტია, არ შეიძლება, გავლენას არ ახდენდეს გუნდის მოქმედებაზე. მაგრამ იმის თქმა, თითქოს "რეალის" თამაშის ხარისხი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, არასწორია. უბრალოდ, ამ მომენტისთვის ყველა ფეხბურთელი ერთნაირ კონდიციებშია".*

ინტერი

# ფიგუმ მემკვიდრე დაასახელა...


რიკარდო კვარეშმა

**ლუიშ ფიგუ** "ინტერში" ბოლო სეზონს ჩაატარებს, ყოველ შემთხვევაში, ასე წერია ფეხბურთელსა და კლუბს შორის შეთანხმებაში, რომელიც ერთი თვის წინათ დაიდო. მაგრამ "ნერაძურისთვის" უკვე აუცილებელია, იფიქროს ვეტერანი პორტუგალიელი გარემარბის შემცვლელზე. როგორც ჩანს, ამაზე თავად ფიგუც ზრუნავს. ის "ინტერს" **რიკარდო კვარეშმას** შეძენას ურჩევს:

*"ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია განვაცხადო, რომ ამ მომენტისთვის, კვარეშმა საუკეთესო პორტუგალიელი ფეხბურთელია. მას აქვს ყველა საჭირო თვისება იმისთვის, რომ "ინტერს" გამოადგეს. კვარეშმას ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და ის იქ იმოქმედებს, სადაც მწვრთნელი დაავალებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი ამით მხოლოდ მოგებული დარჩება".*

გაითვალისწინებს თუ არა "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** ფიგუს რჩევას, ეს მომავალში გამოჩნდება. კვარეშმას ხსენებაზე, ლუიშმა გვერდი ვერ აუარა სერია A-ში ახლახან გადასულ თავის თანამემამულე **ტიაგო მენდეშსაც**.

*"ტიაგოს კარგად ვიცნობ ეროვნული ნაკრებიდან. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია და, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გააკეთა, როცა "იუვესთან" გააფორმა კონტრაქტი. ბოლო წლებში მან სერიოზულ პროგრესს მიაღწია. "ჩელსისა" და "ლიონში" გამარჯვებულის მენტალიტეტი შეიძინა... მაგრამ ახლა ის ტურინშია და რაკი "იუვენტუსი" ჩვენი კონკურენტია, იმედი მაქვს, ტიაგო ასეთი წარმატებული ველარ იქნება"!*

აი, ეს ბოლო ფრაზა კი, რა თქმა უნდა, ფიგუს მხრიდან ელემენტარული ვალდებულება გახლდათ საკუთარი კლუბის მიმართ, მას მერე, რაც ტიაგოს ტურინში გადაბარგება მოუწონა. როგორც ხედავთ, ლუიშს დიპლომატიაშიც არაფერი ეშლება...

ექსპერტის აზრით...

# ლიპი: ინტერსა და ბარსელონას ბადალი არ ჰყავთ

## იუვენტუსის მთავარი შენაძენები: ბუფონი, დელ პიერო, ნედვედი და კამორანეზი

ფეხბურთს მოწყვეტილი **მარჩელო ლიპი** მაინც პოულობს დროს ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისთვის. ამჯერად, "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტებმა ის სატრანსფერო სიტუაციის განსასჯელად შეაწუხეს. ლიპი ფიქრობს, რომ ამ მომენტისთვის ევროპაში მხოლოდ ორი გუნდი, "ბარსელონა" და "ინტერი" დომინირებს, რადგან მათი ფეხბურთი და კონტინგენტი სხვებთან შედარებით უფრო სრულყოფილია:

*"დიახ, კონტინენტზე მხოლოდ ორი ისეთი გუნდი მეგულება, რომელიც ლამაზ და ბრძნულ ფეხბურთს თამაშობს. ესენი არიან "ინტერი" და "ბარსელონა". მათ ევროპა ხელში უჭირავთ. თანაც, ამ ზაფხულს ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ და მე მგონი, მათთან კონკურენცია ძალიან ძნელი იქნება. ისინი ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად მიმაჩნია".*

ცხადია, "ბარსაზე" საუბრისას ლიპი აღტაცებას ვერ მალავს **ტიერი ანრის** ტრანსფერით: *"ანრი ერთ-ერთი იმ ჩემპიონთაგანია, რომელიც გამორჩეულ, სხვა ფეხბურთს თამაშობს. როცა "ბარსას" თავდასხმას უყურებ, შეიძლება, ჭკუიდან გადახვიდე. წარმოიდგინეთ: მესი, რონალდინიო, ეტო'ო და ახლა კიდევ ანრი. ეს ნამდვილი სიგიჟეა".*

შემდეგ ლიპი ეხება ჰონდურასელი ფორვარდის **დავიდ სუასოს** "ინტერში" ტრანსფერს. მაესტრო ფიქრობს, რომ "ნერაძურის" თავდასხმისთვის ის ფასდაუდებელი შენაძენია. მეტიც, სინიორ მარჩელოს აზრით, მასშტაბურობით სუასოს ტრანსფერი ოდნავადაც არ ჩამოუვარდება ანრის კატალონიურ ნახტომს: *"დავიდ სუასოს გადასვლა "ინტერში", თავისი გრანდიოზულობით, სულაც არ ჩამორჩება ანრის ტრანსფერს. ჩემი აზრით, სუასოა სწორედ ის ფეხბურთელი, რომელიც რობერტო მანჩინის აკლდა. ის სწრაფად გადაადგილდება ბურთით და ეს ძალიან საჭირო თვისებაა ფორვარდისთვის, მაგრამ მას სხვა ღირსებებიც აქვს და მანჩინიმ იცის, როგორ აამოქმედოს თავისი არსენალი".*

შეგახსენებთ, რომ სუასო "ინტერსა" და "მილანს" შორის დავის საგანი იყო. ერთკვირიანი სატრანსფერო საგა საბოლოოდ "ნერაძურის" სასარგებლოდ დასრულდა. **მასიმო მორატიმ** ჰონდურასელში 10 მილიონი გირვანქა გაიღო. ამ უკანასკნელმა კი ბოლო ორ ამხანაგურ შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა...

ლიპი სხვა ქვეყნის ტრანსფერებსაც მიმოიხილავს. მაგალითად, სწორად მიიჩნევს სერ **ალექს ფერგიუსონის** გადაწყვეტილებას, "მანჩესტერ იუნაიტედის" გაძლიერებასთან დაკავშირებით: *"ჩემი მეგობარი სერ ალექსი "მილანთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ დარწმუნდა, რომ "იუნაიტედს" სიახლეები, უფრო ძლიერი მოთამაშეები სჭირდებოდა. აგერ, მან ჰარგრივსი, ანდერსონი, ტევესი და, რაც მთავარია, ნანი იყიდა. ეს უკანასკნელი მართლაც ფანტასტიკური მოთამაშეა. ამიტომაც მგონია, რომ წლევანდელი "მანჩესტერ იუნაიტედი" კიდევ უფრო ძლიერი იქნება".*

ლიპიმ ჯეროვნად შეაფასა "მილანის" გათვლა მომავალზე, რაც **ალეშანდრე პატოს** შეძენაში გამოიხატა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბრაზილიელ ვუნდერკინდს იანვრამდე არ ექნება ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება. ლიპი ამბობს: *"რა თქმა უნდა, ვეთანხმები მოსაზრებას, რომ პატო მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ მან ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს და დაამტკიცოს".*

ლიპი განსაკუთრებულად შეეხო სატრანსფერო ბაზარზე "მანჩესტერ სიტის" აქტიურობას. მილიარდერი პატრონის წყალობით, **სვენ გორან ერიქსონმა** დიდი ფული დაატრიალა. შეიძლება ითქვას, რომ "სიტიში" ასეთი ცხელი სატრანსფერო ზაფხული არასოდეს ყოფილა: *"როლანდო ბიანკი და ვალერი ბოჟინოვი აუცილებლად დაამჩნევენ პრემიერლიგას თავიანთ კვალს".*

მერე ლიპი სერია A-ში ბრუნდება და "რომაზე" საუბრობს: *"იქ ხარისხის მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. მათ იყიდეს ჟუანი, მაგრამ გაუშვეს კრისტიან კივუ, მოიყვანეს ლუდოვიკ ჟიული, მაურო ესპოზიტო და აჰმედ ბარუსო, რომლის თამაშიც შარშან სერია B-ში ვნახე და პირდაღებული დავრჩი".*

მარჩელო მიიჩნევს, რომ დიდად არ გაზრდილა "ლაციოს" ძალაც. როგორც ჩანს, პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** ჯერაც ფინანსურ სტაბილურობაზე ზრუნავს. *"ამ გუნდში რევოლუცია არ მომხდარა. "ლაციომ" რამდენიმე საჭირო მოთამაშე დაიმტკიცა და რამდენიმეც ახალი აიყვანა. მაგრამ ეს უკანასკნელნი ჯერ მხოლოდ იმედისმომცემნი არიან და მეტი არაფერი. ისე კი, არ შემიძლია, აღფრთოვანება დავმალო მეკარე კარისოთი, რომელმაც უკვე გამაკვირვა. ძალიან მაინტრიგებს "ფიორენტინაც". ჩეზარე პრანდელი ნიჭიერ ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს და ჩემი აზრით, აქედან მხოლოდ ხეირს ნახავს, თუმცა ეს მალე ვერ მოხდება".*

ცხადია, ლიპი გვერდს ვერ აუვლიდა "იუვენტუსის" თემას. *"იცით, ვინ არიან მათი საუკეთესო შენაძენები? ბუფონი, დელ პიერო, ნედვედი და კამორანეზი. თუ ამ ოთხეულს დიდი სეზონი ექნება, მაშინ ახალწვეულთა მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამ პროცესს უკულმა ვერ დავატრიალებთ. და მაინც, მგონია, რომ "იუვენტუსის" სატრანსფერო კამპანია ჯერ არ დასრულებულა. ვის შეძენას ვურჩევდი მათ? ჩემი ფავორიტი რიკარდო კვარეშმაა. იმ დღესვე, როგორც კი სამწვრთნელო სკამზე დავბრუნდები, და არ აქვს მნიშვნელობა რომელ კლუბში, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა კვარეშმა მყავდეს. მას შეუძლია, ნებისმიერ კლუბს უდიდესი სამსახური გაუწიოს. კვარეშმა, ეს არის სერიოზული წინგადადგმული, დამატებითი ნაბიჯი უმაღლესი კლასისა და ხარისხისკენ".*


მარჩელო ლიპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუკასლი

# ოუენი პირველ ტურს გამოტოვებს

## სმიტმა დებიუტი გოლით აღნიშნა, ელერდაისი მეშვიდე ფეხბურთელს იმატებს...

**მაიკლ ოუენი** პრემიერლიგის პირველ ტურში ვერ ითამაშებს. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი, რომელსაც ტრავმების გამო ბოლო სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდა, ისევ დაშავებულია. ამჯერად ის ბარძაყის ტრავმას იშუშებს. "ნიუკასლი" კი "ბოლტონს" მის გარეშე შეხვდება. ჯორდების თავკაცმა **სემ ელერდაისმა** "დეილი მეილს" განუცხადა: *"მაიკლის მდგომარეობა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდით. მას კუნთი ჰქონდა განყვეტილი. ტრავმის მოშუშებას კი ბევრად მეტი დრო დასჭირდა. აჩქარება გაუმართლებელი იქნებოდა. მაიკლი მხოლოდ მაშინ ითამაშებს, როცა 100 პროცენტით ჯანმრთელი იქნება."* ოუენის ტრავმების ბოლო ორი წელიწადის ისტორია ასეთია: 2005-06 წლების სეზონის დასაწყისში, როცა ის "რეალიდან" "ნიუკასლში" ახალი გადასული იყო, ტერფის ძვალი გაიტეხა. 2006 წლის მუნდიალზე კი მუხლის მყესები გაიწყვიტა. ორი ოპერაციის შემდეგ ის მინდორს გასული სეზონის მიწურულს დაუბრუნდა. შემდეგ კი ისევ დაშავდა და დღემდე მკურნალობს.

გასულ უქმეებზე **ალან სმიტი** "მანჩესტერ იუნაიტედიდან" "ნიუკასლში" გადავიდა. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, ჯორდებმა 6 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. სამი წლით ადრე "იუნაიტედს" მისი "ლიდსიდან" შეძენა ერთი მილიონით ძვირი დაუჯდა. 26 წლის სმიტმა "მანჩესტერში" 93 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი შეაგდო. მისი მოკრძალებული შედეგი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ერთი ხანობა, **სერ ალექს ფერგიუსონი** სმიტს ცენტრალურ ნახევარმცველად აყენებდა. ჯორდებს ის შეტევის გასაძლიერებლად სჭირდებათ. ალანმა ნიუკასლის შემადგენლობაში სადებიუტო მატჩის ჩატარებაც მოასწრო და უმალ გოლი გაიტანა. კვირას ჯორდებმა "სამპდორიასთან" ამხანაგური მატჩი გამართეს და მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. გოლი "მანჩესტერის" ყოფილი თავდამსხმელის ანგარიშზეა.

გასულ უქმეებზე "ნიუკასლმა" კიდევ ერთი ტრანსფერი სრულყო. მან ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა "ლიონის" ცენტრალურ მცველ **კლაუდიო კასაპას**. კასაპა თავისუფალი აგენტი გახლდათ. ამიტომ ჯორდებს მის სანაცვლოდ არაფერი გადაუხდიათ. კასაპა მეექვსე ფეხბურთელია, რომელიც ელერდაისმა "სენტ ჯეიმს პარკზე" მიიყვანა. მეშვიდე და ალბათ უკანასკნელი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს "ვილიარეალის" მარცხენა მცველი **ხოსე ენრიკე** იქნება. ეს ბიჭი 21 წლისაა და ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს.



ალან სმიტი

ვოლფსბურგი

# კოშტა დაიმტვრა, მაგათი შოკშია

## მგლების უმთავრესი შენაძენი 6 თვე დაისვენებს!

"ვოლფსბურგმა" გერმანიის თასის პირველ ეტაპზე დამაჯერებლად კი მოიგო (4:0 ვიურცბურგთან), მაგრამ ეს გამარჯვება "მგლებს" ძალიან ძვირად დაუჯდათ. **ფელიქს მაგათის** გუნდის დაცვის ახალმა ბურჯმა **რიკარდო კოშტამ**, რომლის სანაცვლოდაც "ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა 4 მილიონი ევრო გადაიხადეს, უმძიმესი ტრავმა მიიღო. პორტუგალიელმა ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და სასწრაფოდ საოპერაციოა. უკვე გაირკვა, რომ კოშტა მინიმუმ 5 თვე დაისვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას წლეულს ფეხბურთის თამაში აღარ უწერია.

*"დიახ, სამწუხაროდ, რიკარდო კოშტა წლეულს ველარ დაგვეხმარება. პირდაპირ გეტყვით, შოკირებული ვარ, რადგაც დაცვის ცენტრში მადლუნგისა და კოშტას დუეტის გამწესებას ვგეგმავდი. რა გაეწყობა, ახალი მცველის ყიდვას არ ვაპირებთ, კოშტას შემცვლელები გვყავს,"* - აცხადებს მაგათი. პორტუგალიელის შეცვლის უმთავრესი კანდიდატები არგენტინელი **კიროგა** და **უვე მიორლე** არიან.

### ბიელსა ჩილეში?

არგენტინის ნაკრების ყოფილი თავკაცი **მარსელო ბიელსა,** შეიძლება, ჩილეში გაემგზავროს. მას ამ ქვეყნის ნაკრების გაწვრთნა შესთავაზეს. ჩილელებმა **ნელსონ აკოსტას** ხელმძღვანელობით კოპა ამერიკაზე ფლეი ოფში გააღწიეს, მაგრამ მათ უფრო დიდი წარმატების მიღწევა სურთ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მთელ იმედებს ბიელსას უკავშირებს. *"მისგან მხოლოდ ერთ რამ გვინდა: თანხმობა ჩვენს კონტრაქტზე,"* - ამბობს ფედერაციის მაღალჩინოსანი. კონტრაქტი დეტალები უცნობია.

### ბაპტიშტა, იჯარით მილანში

**ჟულიო ბაპტიშტა** "მილანში" გადადის. "როსონერისა" და "რეალს" შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია. ეს ინფორმაცია მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა** გაავრცელა, შემდეგ კი იტალიელმა აგენტმა **ერნესტო ბრონძეტიმაც** დაადასტურა. ბრონძეტი ბაპტიშტას ინტერესებს იცავს. გადაწყდა, რომ ბაპტიშტა ახალ სეზონს იტალიაში იჯარით გაატარებს. გაისად კი მილანელები მის გამოსყიდვაზე იზრუნებენ. ფეხბურთელის ტრანსფერი როსონერის 17.5 მილიონი ევრო დაუჯდება.

### ჩელსი ალვეშის იმედს არ კარგავს

"ჩელსი" სევილიელი **დანიელ ალვეშის** შეძენის იმედს არ კარგავს. ესპანური კლუბი ფეხბურთელს 20 მილიონ ევროდ აფასებს. 24 წლის ბრაზილიელს ლონდონში გადასვლა სურს. ის ამბობს, რომ ფეხბურთელის კარიერა ძალიან ხანმოკლეა. ამიტომ პროფესიონალი სპორტსმენი ვალდებულია, ყველა შანსი მაქსიმალურად გამოიყენოს. "არისტოკრატები" მას დღევანდელთან შედარებით ორჯერ მეტ ხელფასს გადაუხდიან. ალვეშის კვირეული ანაზღაურება 35 ათას ევროს შეადგენს. "სევილია" ფეხბურთელთან გამოთხოვებას არ ჩქარობს.

### რომამ დელ ორნო მოიკითხა

**ასიერ დელ ორნო,** შეიძლება, "რომაში" გადავიდეს. ვალენსიელებს ამ მცველის გაყიდვა სურდათ. ამის გამო მთავარმა მწვრთნელმა **კიკე სანჩეს ფლორესმა** დელ ორნო ჰოლანდიურ შეკრებაზეც კი არ წაიყვანა, თუმცა შინ დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელმა ისევ "ღამურებთან" ერთად განაახლა ვარჯიში. ასიერი "მესტალიაზე" გასულ ზაფხულს ჩელსიდან გადავიდა. ერთი წლით ადრე კი "ბილბაოდან" ლონდონს დიდი იმედებით მიაშურა. "ჩელსიმ" მის ტრანსფერში 12 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ვალენსიელებმა ის 7.5 მილიონად შეიძინეს. ახლა მზად არიან, 2.5 მილიონად გაყიდონ. ფეხბურთელი წლიურად 1.8 მილიონ ევროს იღებს და ტრანსფერს მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ახალ კლუბში ამდენივეს გადაუხდიან. რომაელებს ტრანსფერის დეტალებზე არაფერი უთქვამთ. მათ დელ ორნოსთან ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმება სურთ.

### ლედესმა, 14 მილიონად ბეტისში?

"ლაციოს" ნახევარმცველ **კრისტიან ლედესმას** ესპანეთში ეპატიჟებიან. ფეხბურთელის აგენტი ამბობს, რომ "ბეტისი" 14 მილიონ ევროს ამზადებს. რომაელებმა გასული სეზონი მესამე ადგილზე დაასრულეს. ისინი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდნენ და ორ კვირაში ბუქარესტის "დინამოს" შეხვდებიან. "ბიანკოჩელესტეს" საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვა არ სურს. ლედესმა ამბობს, რომ დღევანდელი კონტრაქტით კმაყოფილია, ერთი წლის შემდეგ კი თანახმაა, რომაელებთან ახალი ხელშეკრულება გააფორმოს.

### მონაკოს კოლერი აღარ სჭირდება?

**იან კოლერს** "მონაკოდან" აბარგება სურს. აყლაყუდა ჩეხი თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. პრინსიპატელები ერთი თავდამსხმელით თამაშობენ. ეს ერთი თავდამსხმელი კი ფრანგი **სედრიკ პიკიონია.** კოლერის უთამაშებლობა საეჭვოს ხდის მის ასპარეზობას ნაკრებში. სექტემბერში ჩეხებს ირლანდიასთან უპრინციპულესი მატჩი აქვთ. **კარელ ბრიუკნერს** კი მხოლოდ ოპტიმალურ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები სჭირდება.

### იგიტა ფეხბურთში დაბრუნდა

**რენე იგიტა** ფეხბურთს დაუბრუნდა. ექსცენტრული კოლუმბიელი მეკარე 41 წლისაა, მაგრამ პენსიაში გასვლას არ ჩქარობს. მან ეს-ესაა მოიხადა სამწლიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც 2004 წელს დოპინგ-ტესტის ჩაგდების გამო მიუსაჯეს. იმხანად ის ეკვადორულ აუკასში ირიცხებოდა. ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა იგიტა აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში ამხილეს. ამიტომ უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს. მიმომხილველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სასჯელი იგიტას კარიერას წერტილს დაუსვამდა, თუმცა მათი ვარაუდი არ გამართლდა. რენე ვენესუელის უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტ "გუაროს დე ლარაშია" და კვირას ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად გავიდა მინდორზე. მისმა გუნდმა მონაგასთან 2:2 ითამაშა.

ლივერპული

# ჯერარდმა მოთმინება დაკარგა

## ჩხუბი როტერდამში და მზადება რთული სტარტისთვის



ფეიენოორდი-ლივერპულის მატჩის დროს

**ამხანაგური** მატჩი "ფეიენოორდსა" და "ლივერპულს" შორის (1:1) სკანდალით დასრულდა. თამაშის მიწურულს მეტოქეებმა ხელჩართული ჩხუბი ატეხეს. მასში თვით **სტივ ჯერარდიც** ჩაერთო და როტერდამელთა ნახევარმცველ **თეო ლუსიუსს** ყბაში უთავაზა. ჩხუბი მასპინძელთა გარემარბ **როისტონ დრენტეს** მიერ იყო პროვოცირებული. მან ჯერარდს კინაღამ ფეხი მოსტეხა. ლივერპულელმა მცველმა **დანიელ აგერმა** დრენტეს ბურთი ესროლა. როისტონმა მისკენ გაიწია. **ხავიერ მასკერანომ** კი დრენტეს ხელი ჰკრა და მინდორზე გააგორა. იქვე ლუსიუსმა აგერს რამდენჯერმე ჩასცხო. ჯერარდმა ველარ მოითმინა და როტერდამელ ნახევარმცველს მუშტი აგემა. მერსისაიდელთა კაპიტანს ყვითელი ბარათი აუფრიალეს. მის გარდა, "ლივერპულის" კიდევ ექვსმა ფეხბურთელმა მიიღო გაფრთხილება. ჯერარდი დაუყოვნებლივ შეცვალეს. **რაფა ბენიტესმა** კი მომხდარში ჰოლანდიელი არბიტრი **პიეტერ ვინკი** დაადანაშაულა: *"ჩემს ფეხბურთელებს არ ვამართლებ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მსაჯის რამდენიმე გადაწყვეტილება უცნაური და გაუგებარი იყო."*

სკანდალურ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, "დე კუიპზე" მისულმა გულშემატკივარმა მაღალი დონის ფეხბურთი იხილა და წესით, კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. დრენტემ **ანდველე სლორის** პასით ისარგებლა. ჯერარდმა 71-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. 86-ე წუთზე ლივერპულელთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. არბიტრმა მიიჩნია, რომ დრენტეს ჩაწოდებისას **ალვარო არბელოამ** ხელით ითამაშა. **პეპე რეინამ დენი ბუისის** პენალტი მოიგერია და თავისი გუნდი წაგებისგან იხსნა. როტერდამის ტურნირში მასპინძელი "ფეიენოორდისა" და "ლივერპულის" გარდა, "პორტუ" და ჩინური "შანხაი შენხუა" მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა. "ლივერპული" კი დაუყოვნებლივ ინგლისში გაემგზავრა, რათა შაბათს "ასტონ ვილასთან" პირველი ტურის მატჩისთვის მოემზადოს.

აქვე ერთი არასაფეხბურთო ინფორმაცია მერსისაიდელთა ბანაკიდან. გასულ უქმეებზე **ფერნანდო ტორესს** ლივერპულის ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო ცენტრში მომსახურებაზე უარი უთხრეს. რატომ? იქნება ფეხბურთელს, რომელსაც კვირაში 90 ათას გირვანქას უხდიან, ფული არ ჰქონდა? ნუთუ, ის ვერ იცნეს? ან იქნებ გამყიდველი "ევერტონის" გულშემატკივარი იყო? მიზეზი გაცილებით პროზაული აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ეს მაღაზია საკლუბო პრინციპით მუშაობს. მას ათასობით ერთგული კლიენტი ჰყავს. ეს კლიენტები 20 გირვანქად ფასდაკლების ბარათს ყიდულობენ. ტორესს სწორედ ეს ბარათი არ აღმოაჩნდა და მაღაზიის თანამშრომელმაც თავაზიანად მიუთითა კარისკენ. საბრალო ფერნანდო, რომელსაც ინგლისურად თითქმის არაფერი ესმის, ნახევარი საათის განმავლობაში გაშტერებული იდგა სალარო აპარატთან და ცდილობდა გაეგო, რას ედავებოდნენ. საბოლოოდ მას "ლივერპულის" თანამშრომლები დაეხმარნენ. მაღაზიის მფლობელმა უხერხულობისთვის ბოდიში მოიხადა, თუმცა თქვა, რომ მისი თანამშრომელი აბსოლუტურად მართალი იყო.

ვერდერი

# არის ვომეს შემცვლელი!

## შააფს შულცი აღარ სჭირდება...

**გერმანიის** პირველობის დაწყებამდე 5 დღით ადრე, ბრემენის "ვერდერმა" მორიგი ტრანსფერი სრულყო: გუშინ "მუსიკოსებმა" ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ფრანგული "სოშოს" 22 წლის მცველ **დუშკო ტოშიჩის** ტრანსფერი გაჩარხულია. მარცხენა მცველმა ბრემენულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატრანსფერო თანხის ოდენობა უცნობია.

სერბი მცველი "ვერდერში" 13-ნომრიანი მაისურით ითამაშებს - მან "მუსიკოსებში" **პიერ ვომე** უნდა შეცვალოს, რომელმაც ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. ვომე **თომას შააფის** გუნდს მინიმუმ ერთი თვით ველარ დაეხმარება. ტოშიჩმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ამრიგად, სრულფასოვანი ბრემენელია.

*"ძალიან მიხარია, რომ კონტრაქტი გავუფორმეთ მცველს, რომელიც ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელია. ტოშიჩი სწრაფი, ტექნიკური და უნივერსალური გარემარბია, რომლის გამოყენება დაცვის მარჯვენა ფლანგზეც შეიძლება და ნახევარდაცვაშიც,"* - აცხადებს "ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი**.

დუშკო ტოშიჩი "სოშოში" 2006 წლიდან თამაშობდა. გასულ სეზონში მან საფრანგეთის პირველობაზე 26 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. "მუსიკოსების" შენაძენს ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებდა. მარტში ტოშიჩს სერბეთის ეროვნულ ნაკრებში ჰქონდა დებიუტი, ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად კი ის ბოლოს ევროპის ჩემპიონი გახდა.

ტოშიჩის შეძენამ ცხადი გახადა, რომ შააფს **კრისტიან შულცი** არ სჭირდება. ეს უკანასკნელი უკმაყოფილოა იმით, რომ ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ათამაშებენ (ვომეს გამო) და გუნდიდან წასვლა უნდა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ შულცი კარიერას "ჰანოვერში" გააგრძელებს.

ბუნდესლიგა. სეზონის წინ. მარიო ბასლერის ექსპერტიზა

# დოლი და ბებერი დაცვა

## ბორუსიის ერთადერთი პრობლემა უკანა ხაზია...







იცით, რა არის ზაფხულის ყველაზე დიდი სენსაცია? დორტმუნდის "ბორუსია" არანორმალურად გაძლიერდა! როგორც იქნა, ამ გუნდის ხელმძღვანელებმა სპორტული მხარისთვისაც მოიცალეს, მოილიეს რა ფინანსური პრობლემები და უკვე ცხადია, რომ ამ სეზონში BVB ხელწამოსაკრავი გუნდი აღარ იქნება.

"ბორუსია" ყოველთვის გაუმართლებელი და საშინლად რისკიანი ტრანსფერების გარანტი გახლდათ, მაგრამ ახლა ამ გუნდს ისეთი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც შეცდომებს ძალიან იშვიათად უშვებს. **თომას დოლმა** გენერალურ მენეჯერ **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** პირდაპირ უთხრა, ყველაზე მთავარი ის არის, როგორ ვითამაშებთ მოედანზე და არა ის, თუ როგორ ვითამაშებთ ბირჟაზეო. ასეცაა, რადგან დორტმუნდელებმა უნდა გაიხსენონ, რომ BVB, პირველ რიგში, საფეხბურთო გუნდია. ვატცკეც აზრზე მოვიდა და ტრანსფერებისთვის ფული გამოყო. შენაძენებზე დოლთან ერთად შესანიშნავად იმუშავა სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმაც**. და აი, რა გამოვიდა:

**დიეგო კლიმოვიჩი** კარზე დაგეშილი ფორვარდია, რომელიც ძალიან მომწონს. გერმანიის თასის პირველ წრეში, "ვოლფსბურგიდან" შეძენილმა არგენტინელმა თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა და მინდა გითხრათ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. ამას დაუმატეთ **ალექს ფრაი**, რომელიც მალე გამოჯანმრთელდება და კლიმოვიჩს მხარში ამოუდგება. "ბორუსიას" ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ჰყავს ბუნდესლიგაში, "ბაიერნის" შემდეგ.

განსაკუთრებით მახარებს **მლადენ პეტრიჩის** ტრანსფერი, რომელიც შავყვითლებმა "ბაზელიდან" შეიძინეს. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ პეტრიჩი ნახევარმცველია და მიუხედავად ამისა, შვეიცარიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა! ბოლოს და ბოლოს, BVB-ში გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელსაც მოედანზე ყოფნისას იდეები არ გამოელევა!

ძალიან კარგი შენაძენია **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკიც** და კიდევ კარგი, რომ გაზეთის ექსპერტი ვარ და არა ტელევიზისაა - ასე რომ არ იყოს, მაშინ ამ გვარის გამოთქმა მომიხდებოდა და ალბათ ენას მოვიტეხავდი. და კიდევ კარგი, რომ დორტმუნდის ხელმძღვანელებმა ჩვენს კომენტატორებს საქმე გაუადვილეს - ამ ფეხბურთელმა მაისურზე უბრალოდ, კუბა დაიწერა და ცხადია, რომ ყველა ასე დაუძახებს: კუბა. პატარა ბიჭია, ძალიან სწრაფი და ტექნიკური - მარჯვენა ფლანგზე შეუჩერებელი გახლავთ.

ერთი სიტყვით, "ბორუსიას" თავდასხმაში ყველაფერი იდეალურად აქვს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დაცვაში იმდენად ცუდად აქვთ საქმე, რომ უკანა ხაზის სისუსტე წინა ხაზის სიძლიერით უნდა გაბათილდეს. თავად განსაჯეთ, BVB-ს დაცვამ "მაგდებურგთანაც" კი უამრავი შეცდომა დაუშვა. ანუ, დევიზი, "მინიმუმ ერთი მცდარი შენაძენი" ძალაში დარჩა: მომკალით და **რობერტ კოვაჩი** არ მომწონს! ანუ, დოლს ახლა ორი ისეთი ცენტრალური მცველი ჰყავს, მხოლოდ კუთა შეჯიბრებაში რომ მოიგებენ სპრინტს - პაპა კოვაჩი და პაპა **ვიორნსი**. რობერტი 33 წლისაა, კრისტიანი კი 35-ის. ამ დაცვას რომ ვუყურებ, ფეხბურთში დაბრუნებას ვფიქრობ, ასეთ დაცვას მეც გავაბითურებდი...

მაგრამ უკანა ხაზი, რომელსაც ზანტი **სებასტიან კელიც** ეკუთვნის, "ბორუსიის" ერთადერთი პრობლემაა. ყველაზე კარგი კი ის არის, რომ BVB ისევ ცოცხლობს, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ამ გუნდმა 50 000 სეზონური აბონემენტი გაყიდა! ბევრი ექსპერტი დოლის სამწყსოს ხუთეულში მოხვედრას ან სულაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებს. მე კი მაინც მგონია, რომ "ბორუსია" მე-7 ან მე-6 ადგილს დასჯერდება. საერთაშორისო ასპარეზზე კი ეს გუნდი მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როცა კოვაჩი და ვიორნსი პენსიზე გავლენ...

**მარიო ბასლერი,**
ბილდი

### ეს საინტერესოა

#### დორტმუნდი სეზონის წინ

**ადგილები წინა სამ სეზონში**: 9, 7, 7.

**მწვრთნელი**: თომას დოლი (41 წლის, კონტრაქტი 2008 წლამდე).

**მოვიდნენ**: პეტრიჩი (ბაზელი, 3.5 მილ), ბლაჟჩიკოვსკი (ვისლა, 2.8 მილ), კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი, 1 მილ), ციგლერი (არმინია, 250 000), ფედერიკო (კარლსრუე, უფასოდ), კოვაჩი (იუვენტუსი, უფასოდ), ბაკლი (ბაზელი, განათხოვრებული იყო).

**ნავიდნენ**: პიენაარი (ევერტონი, არენდა, 450 000), ამოა (ბრედა, არენდა, 200 000), შაჰინი (ფეიენოორდი, არენდა, 100 000), მეტცელდერი (რეალი, უფასოდ), საკა (ჰამბურგი, უფასოდ), მაიერი (კარიერა დაასრულა).

**მიზანი**: უეფას თასის საგზური.

**პირველი ორი მატჩი**: დუისბურგი (შინ), შალკე (სტუმრად).


კრისტიან ვიორნსი და თომას დოლი

ინტერვიუ რუდი ფიოლერთან

# იტალიელები შურით სკდებიან!

## ლევერკუზენს 2002 წლის ფინალი დღემდე მოჰყვება...


რუდი ფიოლერი

**როგორც ყოველთვის, ექსპერტები ლევერკუზენის "ბაიერისგან" კარზე მომდგარ სეზონშიც ბევრს ელიან. მართალია, გუნდი ჟუანმა, მარკო ბაბიჩმა, ანდრეი ვორონინმა და როკე ჟუნიორმა დატოვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, "ბაიერმა" ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი თეოფანის გეკასი, გერმანიის ნაკრების მცველი მანუელ ფრიდრიხი და ჩილელი ტალანტი არტურო ვიდალი შეიძინა. გუნდი გაძლიერდა, მაგრამ გერმანიის თასის პირველ რაუნდში, გასულ შაბათს ფიასკო განიცადა - "ლევერკუზენი" "ზტ. პაულისთან" დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა, რამაც "ბაიერის" ქომაგები შოკში ჩააგდო. გამოცემა "ველტის" კორესპონდენტი "ფარმაცევტების" სპორტულ დირექტორ რუდი ფიოლერს შაბათს მიღებულ ცივ შხაპსა და სამომავლო გეგმებზე გაესაუბრა.**

**- ჰერ ფიოლერ, თქვენ ამბობდით, "ზტ. პაული" ძალიან სერიოზული და საშიში მეტოქეაო. ჰო, ეს გუნდი გერმანიის თასზე გრანდების რისხვაა, მაგრამ მაინც არავინ ელოდა, რომ "ლევერკუზენი" ამ ტურნირს პირველივე რაუნდიდან დაემშვიდობებოდა...**

- სამწუხაროდ, "ზტ. პაულიმ" გერმანიის თასზე კიდევ ერთი სენსაცია მოახდინა. შაბათის შემდეგ შოკში ვარ. ამ შეხვედრისთვის უდიდესი ენთუზიაზმით ვემზადებოდით და თითქმის დარწმუნებულები გახლდით, რომ ჩვენი გუნდი ამ ბარიერს დაძლევდა. ალიბის ძებნას არ დავიწყებ, ჩვენი მარცხი გაუმართლებელია.

**- ფაქტია, რომ "ლევერკუზენის" ფეხბურთელებს, ხელმძღვანელებსა და ქომაგებს ხასიათი მაგრად წაუხდათ. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ "ბაიერი" ბუნდესლიგის პირველ ტურებშიც წაიფორხილებს? პირადად თქვენ, რას ელით ამ სეზონში?**

- გუნდში ძირეული ცვლილებები მოხდა. თავად განსაჯეთ: რვა ფეხბურთელმა დაგვტოვა და რვა ახალი მოთამაშე შევიძინეთ. ახლა ჩვენ ძალიან ახალგაზრდა გუნდი გვყავს, რომელშიც ორი ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, როგორებიც კარსტენ რამელოვი და ბერნდ შნაიდერი არიან. ვფიქრობ, "ლევერკუზენი" შარშანდელზე გაცილებით უკეთეს სეზონს ჩაატარებს. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ სადავეები ხელიდან არ გაგვექცევა.

**- "ბაიერმა" ტრანსფერებში 13 მილიონი ევრო დახარჯა, ანუ, იმდენი, რამდენიც დიდი ხანია, აღარ გაუღია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაბამისად, ზეწოლაც გაცილებით მძიმე იქნება...**

- სამაგიეროდ, 8 მილიონი შემოგვივიდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გულშემატკივრები წლეულს უფრო მეტს ელიან, ვიდრე შარშან.

**- გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა მარიო ბასლერმა, რომელიც დღეს "ბილდის" მესვეტეა, მაგრად გაგაკრიტიკათ. მან თქვა, რომ "ლევერკუზენის" სატრანსფერო პოლიტიკა ამაზრზენი და უაზროა...**

- ვგონებ, ბასლერმა კარგად არ იცის, რაც ამ გუნდში ხდება. მარიოს თავისი მოსაზრებები აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ბევრი გვაქებს. ლუკას სინკიევიჩი გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელია, ძალიან ნიჭიერი ბავშვია და ჩვენ მას გავზრდით. მანუელ ფრიდრიხს კი ბუნდესგუნდში რეგულარულად იძახებენ ხოლმე. თეოფანის გეკასი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ, არტურო ვიდალი კი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. თუკი ასეთი ფეხბურთელების შეძენა ვინმეს იოლი ჰგონია, ძალიან ცდება.

**- თქვენ როგორ მოახერხეთ მათი შეძენა?**

- დღეს "ლევერკუზენში" აღარ არის ისეთი სიტუაცია, როგორიც 10-15 წლის წინათ იყო. მაშინ ფეხბურთელისთვის დიდი ფული უნდა გადაგეხადა იმისთვის, რომ "ბაიერში" გადმოსულიყო. ახლა კი მოთამაშეები იმის გამო მოდიან, რომ ხედავენ, აქ რაღაც კარგი ხდება. ჩვენ ჩვენი კონცეფცია გვაქვს და ამ გეგმას აზრიანად მივყვებით. კრიტიკა კარგია, მაგრამ დადებითიც უნდა დაინახო!

**- დიდი ხანია, "ლევერკუზენს" სერიოზული წარმატებისთვის აღარ მიუღწევია და საინტერესოა, რით მოხიბლეთ ეს ფეხბურთელები?**

- ცხადია, "ლევერკუზენს" არ ჰყავს იმდენი გულშემატკივარი, რამდენიც "ბაიერნს", "დორტმუნდს", "შალკეს" ან "ვერდერს", მაგრამ თუ დამიჯერებთ, უცხოეთში ჩვენს გუნდს საკმაოდ დიდი წონა აქვს. მაგალითად, როცა ვიდალის თაობაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი, ვიგრძენი, რომ "ლევერკუზენი" ძალიან პოპულარული გუნდია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, გერმანიის ჩემპიონობისთვის აღარ ვიბრძვით. ხალხმა იცის, რომ მიხაელ ბალაკი, ლუსიო, ემერსონი და ზე რობერტო ჩვენთან თამაშობდნენ და რომ მათ სწორედ "ბაიერში" მოიწყვეს კარიერა. 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლის ხეირი დღემდე მოგვყვება. ის, რაც მაშინ კლაუს ტოპმიოლერის გუნდს დაემართა, დიდი უიღბლობა იყო - გუნდი სამი ფრონტის ფინალში დამარცხდა. ბუნდესლიგაში ბევრი ისეთი გუნდია, სადაც ფიქრობენ, რომ ტრადიციულები არიან, მაგრამ გავლენ თუ არა გერმანიის საზღვრებს გარეთ, მაშინვე შეამჩნევენ, რომ ეს ასე არ არის. "ლევერკუზენი" კი ყველამ იცის, აბსოლუტურად ყველამ.

**- თუკი ასეა, გამოდის, რომ სპონსორები ბუზებივით უნდა გეხვეოდნენ. არადა, "ბაიერის" მაისურის წინა მხარე დღემდე არ არის დაკავებული...**

- მე ძალიან კარგად ვიცი "ლევერკუზენის" ფასი. ამიტომაცაა, პირველივე შემოთავაზებას რომ არ დავთანხმდით და უკეთეს წინადადებებს რომ ველით.

**- თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესლიგაში წლეულს სერიოზული ბუმია. გულშემატკივრები ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელიან...**

- ბევრისთვის მნიშვნელობა არა აქვს, წააგებს თუ მოიგებს - უმეტესობას, უბრალოდ, დასწრება სურს. ჩვენი უმთავრესი კოზირი სტადიონებია - გერმანიაში საუკეთესო დასწრებაა, რაც ძალიან საამაყოა. თუ გახსოვთ, წლების წინათ "შალკესა" და "კიოლნის" არენები არ ივსებოდა, ახლა კი, ნახევრად სავსე "აუფ შალკე" უკვე წარმოუდგენელია. სხვათა შორის, "რომასთან" ტესტმატჩის შემდეგ, ჩემს კაბინეტში "ჯალოროსის" იტალიელი მესვეურები ისხდნენ. მითხრეს, თქვენი გვშურსო. იტალიაში ხომ სტადიონები ნელ-ნელა ცარიელდება და ახლა ეს მათთვის სერიოზული პრობლემაა. ცრემლები მოსდიოდათ, როცა ნახეს, რა ხდებოდა ჩვენს სტადიონზე.

**- "ბაიერნმა" წლეულს 70 მილიონი დახარჯა. როგორ ფიქრობთ, რეკორდმაისტერის ჩემპიონობა გარდაუვალია?**

- დიახ, მეც ასე ვფიქრობ. ექსპერტების უდიდეს ნაწილს ახლა მხოლოდ ის აინტერესებს, თუ ვინ გავა მეორე ან მესამე ადგილზე. საერთოდ, როცა გუნდი, თანაც გრანდი სეზონს ჩააგდებს, ყოველთვის ისე ხდება, რომ მომდევნო სეზონში ძალიან სახიფათო და უძლეველი ხდება. მე ყოველთვის ვამბობ: ვინც "ბაიერნთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, მინიმუმ სამჯერ გახდება გერმანიის ჩემპიონი. გინდა თუ არ გინდა, ასე ხდება...

**გოტფრიდ ლენცი**

ჩოგბურთი

კლასიფიკაცია




# ლადო ჩიხლაძე: +79, გაგრძელება იქნება

საქართველოს პირველ ჩოგან **ლადო ჩიხლაძეს** თბილისის ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირის მოგებისთვის 18 ქულა დაერიცხა (ერთ კვირაში მას კიდევ 18 ქულა დაემატება მეორე ტურნირის მოგებისთვის), რითაც ქულათა მარაგი 59 გაუხდა. ლადომ რეიტინგში 79 საფეხურით წაიწია წინ და მოწინავე ხუთასეულში შევიდა. დღეისათვის 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი მსოფლიო კლასიფიკაციაში 458-ე პოზიციაზეა, რაც მისთვის კარიერის მიღწევაა. წყვილთა თანრიგში მას უარესი შედეგი აქვს - 751-ე ადგილზეა.

814-ე ადგილზეა (-2) ჩვენი ყოფილი პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე**, რომელსაც წლეულს ტრავმის გამო არ უთამაშია. ირაკლის მხოლოდ 15 ქულა აქვს, არადა ზუსტად სამი წლის წინათ ლაბაძე მსოფლიოს 42-ე ჩოგანი იყო. წყვილთა თანრიგის რეიტინგში ლაბაძე 477-ე პოზიციაზეა. **ნოდარ ითონიშვილი** მსოფლიოს 1335-ე ჩოგანია (+3). ითონიშვილმა უკვე დაასრულა გერმანიის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობა. მან პირველ საკვალიფიკაციო წრეში შვეიცარიელ **ბოჟან ბაკოვიჩს** მოუგო - 6:3, 6:4, მეორეში კი გერმანელ **ნიკოლას ჰოლცენთან** წააგო - 4:6, 2:6. ლადო და ირაკლი ამ კვირაში არსად თამაშობენ.

ქალთა რეიტინგში იტალიურ რიმინიში წარუმატებელი თამაში უმალ აისახა **მაკა ჩახნაშვილის** მდგომარეობაზე. მაკა 237 ქულით მსოფლიოს 139-ე ჩოგანია, რაც ხუთი ადგილით უარესია გასული კვირის მონაცემთან შედარებით. სამაგიეროდ ოთხი ადგილით წინ წაიწია 17 წლის **ანა ტატიშვილმა**, ის 86 ქულით 285-ეა და ნელ-ნელა უახლოვდება კარიერის რეკორდს (267). მცირე პროგრესი **სალომე დევიძესაც** აქვს - 26 ქულა, 562-ე (+4) ადგილი.

სხვა ქართველები მსოფლიო კლასიფიკაციაში: 610 (-2) **სოფიო შაფათავა** - 22 ქულა, 689 (-8) **სოფიო მელიქიშვილი** - 16, 727 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 14, 770 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12, 781 (-) **ეკა გორგოძე**, 946 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** - 7. ათასეულს მიღმა: 1033 (+9) **თინათინ ყავლაშვილი** - 5, 1057 (+7) **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4,5, 1237 (-) **მარიამ ქურდაძე** - 2,5 და 1255 (+4) **თეონა ცერცვაძე** - 2,5.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

# ფინელები მეზობლებთან

საქართველოს ნაკრების პარალელურად ამხანაგურ მატჩებს ატარებენ ფინელებიც. მათ ქალაქ ტამპერეში ორი შეხვედრა ჩაატარეს მეზობელ შვედებთან - პირველი ორი ქულის სხვაობით მოიგეს, მეორე 9-ქულიანი განსხვავებით დათმეს.

მატჩების ოქმებს ქვემოთ გაეცნობით, ახლა კი გეტყვით, რომ ფინელებიც ჩვენს დღეში არიან - ორი წამყვანი კალათბურთელის გარეშე უწევთ ფონს გასვლა: ბერძნულ "არისთან" საკონტრაქტო პირობებს ათანხმებს მეფარე **ჰანო მოტოლა**. მასთან ერთად სუომელთა შეკრებაზე იგვიანებს **მანუჩარ მარკოიშვილის** ყოფილი თანაკლუბელი **ტეემუ რანიკო**. მათ არყოფნაში ლიდერის ფუნქციას ითავსებს **პეტრი ვირტანენი**, რომელმაც შვედებთან მეორე მატჩში 13-დან 8 სამქულიანი ჩააგდო და 25 ქულა მიითვალა.

| ფინეთი-შვედეთი | 86:84 |
|---|---|
| ფინეთი: კოტი (18), ჰაფი (17), მუურინენი (12) | |
| შვედეთი: ლევინი (21), მბემბა (10) | |

| ფინეთი-შვედეთი | 63:72 |
|---|---|
| ფინეთი: ვირტანენი (25) | |
| შვედეთი: მარაკერი (18), მბემბა (15) | |

# ნიკა და კოკა პარკერთან

გუშინ, პარიზში საუკეთესო 18-წლამდელ ევროპელთა კემპი დაიწყო. ეს ღონისძიება 2001 წლიდან NBA-ს ეგიდით იმართება და "უსაზღვრო კალათბურთი " ეწოდება. წელს NBA-ს მხარი "ნაიკმაც" აუბა და ამ ფირმის წარმომადგენლებმა მონაწილეებს სრული ეკიპირება გადასცეს. 50 18-წლამდელს შორის ორი ქართველია - **ნიკა მეტრეველი** და **კოკა ტომარაძე**.

ნიკა გასულ სეზონში იტალიური "რიმინის" ღირსებას იცავდა, მაისში კი სიენის "მონტეპასკიში" გადავიდა. ახალ კლუბთან მეტრეველმა გააფორმა კონტრაქტი, რომლის მიხედვით სიენელები ბინასა და მანქანასაც გამოუყოფენ, ხოლო 18 წლისა რომ გახდება, ხელშეკრულებას ორივე მხარე გადახედავს.


ნიკა მეტრეველი


კოკა ტომარაძე

კოკა ტომარაძემაც წელს გააფორმა კონტრაქტი - იგი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში "ბარსელონის" კადეტთა და ჭაბუკთა გუნდებში თამაშობდა, ივნისში კი კატალონიურ კლუბთან ოფიციალური ხელშეკრულება გააფორმა. შეთანხმების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, კოკა "ბარსას" ახალგაზრდულ გუნდში ერთ სეზონს გაატარებს და როცა ზრდასრულ ასაკს მიაღწევს, ან პირველ გუნდში გადავა, ან სხვა ესპანურ კლუბში გაანათხოვრებენ.

საზაფხულო კემპში მონაწილე ქართველთა კონტრაქტებზე სიტყვა ძალიან გაგვიგრძელდა. პარიზში დავბრუნდეთ და გავეცნოთ იმ ვარსკვლავთა ვინაობას, ვისი მეთვალყურეობითაც ქართველი ჭაბუკები კემპზე ივარჯიშებენ: **ტონი პარკერი** ("სან ანტონიო"), **ბორის დიაო** ("ფინიქსი"), **მიშელ პიეტრუსი** ("გოლდენ სტეიტი"), **რონი ტურიაფი** ("ლეიკერსი"), **იაკუბა დიავარა** ("დენვერი"), **ლუოლ დენგი** ("ჩიკაგო"), **სამუელ დალემბერი** ("ფილადელფია"), **ბო აუთლო** ("ორლანდო").

მკითხველს ემახსოვრება, რომ მასწავლებლის რანგში სხვადასხვა დროს **ნიკა ცქიტიშვილი** და **ზაზა ფაჩულიაც** გვევლინებოდნენ. რაც შეეხება მონაფეებს, აქ ქართველთა სია გაცილებით ვრცელია:

2003 წელს იტალიის ტრევიზოში გამართულ კემპზე **მანუჩარ მარკოიშვილმა** და **გიორგი მამაცაშვილმა** ითამაშეს. ორი წლის შემდეგ ამავე ქალაქში **გიორგი გაფრინდაშვილი** ჩავიდა, ხოლო შარშან, ლიტვის ქალაქ კაუნასში NBA-ს კემპზე **გიორგი შერმადინი** იყო მიწვეული.

პარიზული საზაფხულო ბანაკის მსვლელობის შესახებ ხვალ-ზეგ უფრო ვრცლად გესაუბრებით. დღეს კი შეგახსენებთ, რომ ბანაკ 10 აგვისტოს დაიხურება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი

# გადაიდო

გუშინ, ხელბურთის ფედერაციაში გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც ორ მნიშვნელოვან საკითხზე უნდა ემსჯელათ: საპრეზიდენტო არჩევნებსა და ოქტომბერში, თბილისში გასამართ "ჩელენჯ ტროფის" შესახებ.

პრეზიდიუმი დროულად კი შეიკრიბა, მაგრამ მასზე ვერანაირი შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ჩამოთვლილი საკითხები განიხილება მორიგ სხდომაზე, რომელიც, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში გაიმართება.

გუშინდელი შეხვედრის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **ზურაბ კაკაბაძეს**.

*სხდომის დასაწყისში საპრეზიდენტო არჩევნების საკითხზე მსჯელობა გაიმართა. სხვადასხვა აზრი მოვისმინეთ და საბოლოოდ გადაწყდა, რომ არჩევნებსა და ჩელენჯ ტროფისთან დაკავშირებულ საკითხებზე მორიგ სხდომაზე ვიმსჯელებთ, რომლის გამართვის თარიღი ჯერ არ დაზუსტებულა. მანამდე ფედერაცია ჩვეულ რიტმში განაგრძობს მუშაობას". -*

შეგახსენებთ, რომ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან ნებაყოფლობით გადადგა **მამუკა სხიერელი**. რიგგარეშე არჩევნები სექტემბრის შუა რიცხვებში გაიმართება. პრეზიდენტობის კანდიდატების განაცხადების მიღება 12 აგვისტომდეა. სადღეისოდ ორმა კანდიდატმა დააფიქსირა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი - **ჯანო ბაგრატიონმა** და **თამაზ თევზაძემ**.

**კობა ხატისაშვილი**


ჯანო ბაგრატიონი


თამაზ თევზაძე

სპორტის აკადემია

# ითხოვენ განმარტებას

რამდენიმე პროფესორი გუშინ დილით, სპორტის აკადემიის წინ კვლავ შეიკრიბა ერთი მოთხოვნით: კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ წერილობით დაადასტუროს, რა სტატუსს ანიჭებს სპორტის აკადემიას და განმარტოს, თუ რას ნიშნავს და რა შინაარსს შეიცავს ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფაკულტეტთან არსებული სპორტული ცენტრი - "სპორტის აკადემია". პროფესორები შიშს გამოთქვამენ, რომ სპორტის აკადემიის ინტეგრაცია-ოპტიმიზაცია კი არა, მისი გაუქმება მოხდა. მხოლოდ დეკლარირებულია და დოკუმენტურად არანაირად არაა დადასტურებული, თუ რა ბედი ელით სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს.

აკადემიელთა მცირე ჯგუფის გუშინდელ შეკრებაზე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები აღარ გამოჩენილან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიადა



ძიუდოისტთა ნაკრები. მარცხნივ მწვრთნელი ბიძინა მოხევიშვილი



პრესკონფერენციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# სულ სამი სახეობა, სამაგიეროდ, ერთი ძიუდოა

**8 აგვისტოს, ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში იწყება რიგით 24-ე უნივერსიადა, სადაც საქართველო საკმაოდ მცირერიცხოვანი დელეგაციით გაემგზავრება საასპარეზოდ. 19 სახეობიდან ჩვენი სპორტსმენები მხოლოდ სამში იასპარეზებენ - ძიუდოში, მხატვრულ ტანვარჯიშსა და ფარიკაობაში. სულ ტაილანდში ათი სპორტსმენი გაემგზავრება. ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით სპორტის დეპარტამენტისა და საუნივერსიტეტოს სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.**

ნიკოლოზ ამაშუკელი, **საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი:** - უნივერსიადაზე სპორტის სამ სახეობაში ვიასპარეზებთ. შვიდივე წონით კატეგორიაში იასპარეზებენ ძიუდოისტები და მათგან საუკეთესო შედეგებს ველით. უნივერსიადაზე იასპარეზებენ ასევე მხატვრული ტანმოვარჯიშეები **თათია დონაძე** და **ქეთევან ხატიაშვილი**, მოფარიკავე **ანზორ ალბრეხტი**. აღსანიშნავია, რომ ამ მოკლე პერიოდში რაც საუნივერსიტეტო სპორტისა ფედერაციის ხელმძღვანელად ამირჩიეს, შევძელით ორი საკმაოდ სერიოზული სპონსორის მოძიება. ესენი არიან "პეპსი" და "ნატახტარი". მათი დახმარებით ფრიად სერიოზული პროექტების განხორციელება გვაქვს განზრახული. ყველაზე მთავარი კი სტუდენტური სპორტის აღორძინებაა საქართველოში.

სამწუხაროდ, ჩვენში ამ ტურნირისადმი ჯეროვანი ყურადღება არ გამოუჩენიათ: მოგეხსენებათ, ერთი თვის წინ მოვედი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის სათავეში და სამწუხაროდ, დრო არ მქონდა იმისთვის, რათა უფრო მასშტაბური გუნდი შემეკრა. საქმე ის გახლავთ, რომ უნივერსიადაზე მონაწილეობის მსურველებმა 6 თვით ადრე უნდა გააკეთონ განაცხადი; სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა, რის გამოც ბევრი ძლიერი სპორტსმენი დარჩა შეჯიბრების მიღმა. ამის მიუხედავად, ბანგკოკში გამგზავრება მაინც სირთულეებთან იყო დაკავშირებული - არ მქონდა სათანადო ფინანსური შესაძლებლობები, თუმცა სპონსორთა და სპორტის დეპარტამენტის დახმარებით, თანხის მოძიება შესაძლებელი გახდა: კომპანია "პეპსი" და "ნატახტარი" დაგვიდგნენ მხარში; ასევე მადლიერნი ვართ კომპანია "ჯეოსპორტის", რომელმაც ხარისხიანი სპორტული ფორმები შეგვიკერა.

საუნივერსიტეტო სპორტი ჩვენში ლამის ჩამკვდარია რომაა და მას განვითარება სჭირდება, ფაქტია. უდიდესი ძალისხმევა და მუშაობაა ამ მხრივ საჭირო. ვგონებ, ახალი გუნდი ამ პრობლემებს დავძლევთ. წლეულს საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვანი ტურნირები არ გველის, მაგრამ სექტემბრიდან ფედერაცია აქტიურ მუშაობას დაიწყებს, რათა მომავალ წელს მრავალ სახეობაში ღირსეულად შეგვეძლოს წარდგენა საერთაშორისო ასპარეზზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ სათამაშო სახეობების - კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის განვითარებას - ეს სახეობები უმაღლეს სასწავლებლებში ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობა და სპორტში სტუდენტთა მასობრივად ჩართვის მშვენიერი საშუალებაა.

დავით ნამგალაური, **სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:** - ამ უნივერსიადაზე ჩვენი გუნდის გამოსვლა თავისთავად ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩვენს სპორტსმენებს წინა უნივერსიადებზე საკმაოდ სერიოზული მიღწევები ჰქონდათ, თუმცა ბოლო წლებში სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ტრადიცია დაირღვა, დაიკარგა. სასიხარულოა, რომ საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციაში არჩევნების შემდეგ მოსულმა ახალმა ხელმძღვანელობამ განვითარების სწორი კურსი აიღო. ძალიან მოკლე პერიოდში მათ მოიპოვეს უმაღლესი სასწავლებლების მხარდაჭერა, გამოჩნდნენ სპონსორები. მალე ფედერაცია საკმაოდ აქტიურად შეუდგება საქმიანობას. ბანგკოკის უნივერსიადა პირველი სპორტული ღონისძიება ახალი ხელმძღვანელებისთვის. ამ შეჯიბრებაში მონაწილე ქართველი სპორტსმენებიდან ყველასი გვეიმედება, ვფიქრობთ, ისინი წარმატებით იასპარეზებენ. განსაკუთრებით გვეიმედება ძიუდოისტების. მომავალში აუცილებლად ჩატარდება საქართველოს სრულყოფილი უნივერსიადა, რომლის შედეგების მიხედვითაც ჩამოყალიბდება მომდევნო უნივერსიადაზე გასამგზავრებელი გუნდი. იმედი გვაქვს, თუ ამჟამად ცხრამეტიდან მხოლოდ სამ სახეობაში ვასპარეზობთ, შემდეგ ოლიმპიადაზე უმრავლეს სახეობებში გვეყოლება წარმომადგენლები.

**ზვიად შათირიშვილი,**
**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდოისტთა ნაკრები: **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **მინდია ხომიზური** (66), **ბექა ბაიდაური** (73), **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **იოსებ მსხალაძე** (90), **ლევან რაზმაძე** (100) **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

მთამსვლელობა

# ხევის ამაგდარი

**90 წელი შეუსრულდა შესანიშნავ პიროვნებასა და საზოგადო მოღვაწეს, სტეფანწმინდის მკვიდრს, ქართული ალპინიზმის ერთ-ერთ მესაძირკვლის იაგორ კაზალიკაშვილის ვაჟიშვილს, მამის სახელობის სახლმუზეუმის დირექტორს ალექსი კაზალიკაშვილს.**

დღემდე კარგად ახსოვს ალექსის, მათ სახლში უცხო ხალხი ხშირად რომ იყრიდა თავს, და მამას მუდამ რაღაცას, რომ სთხოვდნენ. ბიჭს დიდხანს ვერ გაეგო ამ თხოვნის არსი. რომ წამოიზარდა და მათი სახლისტუმართა "თავშესაფარიც" გახდა, მიხვდა, რომ სხვაგვარად ჩაცმული ზურგჩანთიან და ხელში უცნაური, წვეტიანი იარაღით თბილისიდან ამოსულ "მეცნიერების ხალხს", მამის გარეშე მთაში წასვლა აღარ სურდა.

იმ ხანებში, სწავლამოწყურებულ მაღალმთიანი ბავშვებისთვის თბილისში სპეციალური სახლი და სკოლა გაიხსნა (ახლანდელი 23-ე საჯარო სკოლა). ალექსიმ ამ სკოლის შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამარყანდის სამხედრო ქიმიური აკადემია დაამთავრა. 1938 წელს **ალიოშა ჯაფარიძემ** ალექსი ექსპედიაციაში ჩარიცხა და მწვერვალ შაუხოხზე წაიყვანა. ლაშქრობისას შეიქმნა ექსტრემალური სიტუაცია. გზის მოძებნა ალექსის დაევალა და საბოლოოდ ექსპედიციის წევრები მწვერვალზე ნისლში ავიდნენ. ეს იყო ალექსის ალპინისტური ნათლობის დღე.

მამის კვალდაკვალ, 1935 წელს, მეტეოსადგურში დაიწყო მუშაობა. იმავე წელს ქართული მსროლელი დივიზიის 316 წარმომადგენელი ავიდა მყინვარწვერზე და პირველად ქართული მთამსვლელობის ისტორიაში, მწვერვალზე გაისმა ზარბაზნის ზალპი. ამ დროს სტეფანწმინდაში კი, თავისივე სახლში, ფანდურზე საკუთარი ლექსის დამღერებით სიცოცხლეს ეთხოვებოდა ქართული ალპინიზმის ფუძემდებელი, იაგორ კაზალიკაშვილი - ალექსი კაზალიკაშვილის სახელოვანი მამა.



მყინვარწვერისკენ გერმანელ მთამსვლელებთან ერთად. მარცხნიდან მეორე ალექი კაზალიკაშვილი

მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ ალექსი ყაზბეგის პარტრაიკომში იწყებს მუშაობას, მერე რაიონის გაზეთ "ახალი ხევის" რედაქციას ჩაუდგა სათავეში. სწორედ ამ გაზეთის ფურცლებმა შემოინახა ქართული მთამსვლელობის ისტორიის საამაყო ეპიზოდები. ალექსის მონადინებითვე გაიხსნა იაგორ კაზალიკაშვილის სახლ-მუზეუმი,

ოჯახი ტრადიციებს არ ღალატობს - იაგორ კაზალიკაშვილის ეზო-არე მუდამ ღიაა ტურიზმისა და ალპინიზმის მოყვარულთათვის. აქვე შეეგება ალექსი კაზალიკაშვილი თავისი 90 წლის იუბილეს ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და იმ ადამიანებთან ერთად, ვინც კარგად იცის, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ღირსეული მამის ღირსეულ მემკვიდრეს, ალექსი კაზალიკაშვილს საქართველოში მთამსვლელობის ტრადიციების დაცვა-გაღრმავებაში.

**ივანე ჯაფარიძე**

ტურნირები და რეიტინგები

# მარიას პირველი ტიტული



ენდი როდიკი

გაგიკვირდებათ, მაგრამ გასულ კვირამდე, **მარია შარაპოვას** ამ სეზონში ტურნირი არ ჰქონდა მოგებული. ჰოდა, ამერიკის ღია პირველობის მოქმედმა ჩემპიონმა ეს ნაკლი სან დიეგოს ტურნირზე გამოასწორა მას შემდეგ, რაც ფინალში სამ სეტში აჯობა შვიცარიელ **პატი შნიდერს**. ტურნირზე ტრიუმფის შემდეგ კი განაცხადა, ფლეშინგ მედოუსზე შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას ვაპირებ და ეს გამარჯვება მიზნის მიღწევისთვის ფსიქოლოგიურად განმაწყობსო.

რუსმა სულ ექვსჯერ მოახერხა მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება. შვეიცარიელს ის ხაზიდან ძლიერი დარტყმებით უქმნიდა პრობლემებს, თუმცა უნაკლოდ მაინც არ უთამაშია. მისი ნაკლი კი მეორე სეტში კარგად გამოიყენა შნიდერმა, ვინც კორტის ერთი კუთხიდან მეორეში ხშირად გზავნიდა ბურთს და ამით ტანმაღალ მეტოქეს ბევრ პრობლემასაც უქმნიდა.

მეორე სეტის მერვე გეიმში ბრეიკი შნიდერმაც მოიპოვა, მომდევნოში კი თავის სერვისზე პრაქტიკულად, უშეცდომოდ ითამაშა და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა. გადამწყვეტი სეტის დაწყებამდე, შარაპოვას მისმა მწვრთნელმა **მაიკლ ჯოისმა** ურჩია, სიზანტე დაივიწყე, თორემ წააგებო. ჩოგბურთელმაც დაუჯერა და ამით თავის მეტოქეს უპირატესობის შენარჩუნების საშუალება აღარ მისცა.

გადამწყვეტი სეტის მეორე გეიმში შარაპოვამ ბრეიკი აიღო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ფინალური შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი გახდა. შნიდერს მთლად აერია თამაში. შარაპოვამ კი, ეს რომ იგრძნო, უფრო უმატა აგრესიას და კიდევ ორი ბრეიკის აღებით, სეტი მშრალად მოიგო.

*"პირველ სეტში ბევრი რამ იოლად გამომდიოდა. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ მოწოდების მიღებით. მის სერვისზე ბევრი საჭირო ქულის აღება შევძელი. მეორე სეტში ზანტად ვთამაშობდი, რამაც ცუდი სამსახური გამიწია. პატი ძალიან სწრაფი იყო და შანსებს თითქმის ყოველთვის იყენებდა. მაგრამ შემდეგ მეც ფეხს ავუჩქარე და თამაშიც მალე დავალაგე. ამის შემდეგ, პრობლემა აღარც შემქმნია"*, - განაცხადა შარაპოვამ, ვინც ამ გამარჯვებამდე, ბოლო ტურნირი შარშან, ოქტომბერში ავსტრიის ქალაქ ლინცში მოიგო.

*"როცა მარიას თამაში მისდის, მოგების შანსი თითქმის აღარ გრჩება. მას მუდმივად ზეწოლის ქვეშ ჰყავს თავისი მეტოქეები და ამ დროს ბევრი რამ შეიძლება არ გამოგივიდეს. როგორც კი ყურადღებას ადუნებს, მაშინვე შანსები გიჩნდება. ის ნამდვილი ჩემპიონია და ასეთებთან როცა თამაშობ, თუ რაღაც განსაკუთრებულს არ მოიმოქმედებ, მოგების იმედი არ უნდა გქონდეს"*, - განაცხადა შნიდერმა.

სხვათა შორის, შარაპოვამ ეს ტურნირი შარშანაც მოიგო. ამგვარად, 2002 წლის შემდეგ პირველი ჩოგბურთელია, ვინც სან დიეგოს ტურნირის ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოახერხა. 2002 წელს იგივე ამერიკელმა **ვენუს უილიამსმაც** შეძლო. დაკიდევ, შარშან რომ ეს ტურნირი მოიგო, მერე შარაპოვა ამერიკის ღიას ჩემპიონიც გახდა. ჰოდა, ახლა იმედოვნებს, რომ შარშანდელ მიღწევას სრულად გაიმეორებს. მანამდე კი ლოს ანჯელესის ტურნირია, რომელზეც რუსი ლამაზმანი პირველ ნომრადაა განთესილი.

საინტერესო გამოდგა ვაშინგტონის ღია პირველობის ფინალიც, რომელშიც ერთმანეთს ორი ამერიკელი – **ენდი როდიკი** და ტურნირზე უაილდ ქარდის წყალობით მოთამაშე **ჯონ იზნერი** დაუპირისპირდა. მართალია, როდიკმა მისთვის მეტისმეტად ცოტა, 12 მოაწოდა (იზნერსაც ზუსტად ამდენი ეისი ჰქონდა) და მხოლოდ ერთხელ შეძლო მეტოქის სერვის-გეიმის მოგება, მაგრამ ესეც ეყო იმისთვის, რომ ორ სეტში მოეთავებინა საქმე და ტურნირის ჩემპიონი გამხდარიყო.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის დაწყებამდე 2.05-მეტრიან იზნერს რეიტინგში 416-ე ადგილი ეკავა, მაგრამ ფინალამდე ისე მივიდა, თავის მოწოდებაზე 86 გეიმიდან მხოლოდ ოთხი დათმო. ამასთან, ფინალამდე ყველა შეხვედრა სამ სეტში, მესამე სეტის ტაიბრეიკებზე მოიგო.

როდიკმა პირველი სეტის მეშვიდე გეიმში შეძლო ბრეიკის მოპოვება და ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. მეორე სეტში ვერცერთმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო მეტოქის სერვის-გეიმის მოგება. საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც როდიკი თავიდანვე დაწინაურდა (3:1). ეს უპირატესობა მან ბოლომდე შეინარჩუნა და თამაში გამარჯვებით დაასრულა, რითაც კარიერაში 23-ე ტიტულს დაეუფლა.

აღსანიშნავია, რომ იზნერი პროფესიონალი მეჩოგნე სულ ორი თვის წინათ გახდა. ვაშინგტონის ტურნირზე კი მან ფინალამდე გზიდან ჩამოიცილა ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორებიც არიან ბრიტანელი **ტიმ ჰენმანი**, ფრანგი **გაელ მონფილსი** და გერმანელები – **ტომი ჰაასი** და **ბენიამინ ბეკერი**. სხვათა შორის, მას ტურნირის ორგანიზატორებმა უაილდ ქარდი მას შემდეგ მიანიჭეს, რაც ტრავმის გამო, ტურნირზე მონაწილეობისგან თავი ჩილელმა **ფერნანდო გონსალესმა** შეიკავა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| ATP |
|---|
| LEGG MASON TENNIS CLASSIC |
| ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი |
| საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი |
| ფინალი |
| ენდი როდიკი (აშშ, 1)- ჯონ იზნერი (აშშ) 6:4, 7:6(4) |
| ACURA CLASSIC |
| სან დიეგო (აშშ). ჰარდი |
| საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი |
| ფინალი |
| მარია შარაპოვა (რუს, 1)- პატი შნიდერი (შვეი, 11) 6:2, 3:6, 6:0 |



მარია შარაპოვა

| ATP-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1.(1) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2.(2) რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5455 |
| 3.(5) ენდი როდიკი (აშშ) | 3290 |
| 4.(3) ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3200 |
| 5.(4) ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3075 |
| 6.(6) ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2695 |
| 7.(7) ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2200 |
| 8.(8) რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 2085 |
| 9.(9) ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1995 |
| 10.(10) ტომაშ ბერდიჩი (ჩეხეთი) | 1975 |
| 11.(11) ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1940 |
| 12.(12) ტომი ჰაასი (გერმანია) | 1910 |
| 13. (14) მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1840 |
| 14.(13) ენდი მარეი (ბრიტანეთი) | 1730 |
| 15.(15) გილერმო კანიასი (არგენტინა) | 1675 |
| 16.(16) დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1535 |
| 17.(17) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1525 |
| 18.(18) კარლოს მოია (ესპანეთი) | 1395 |
| 19.(19) მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1370 |
| 20.(20) ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1270 |

| ATP-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 936 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 801 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 561 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 376 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 325 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 293 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 280 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 275 |
| 9. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 260 |
| 10. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 257 |
| 11. გილერმო კანიასი (არგენტინა) | 256 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 252 |
| 13. ტომი ჰაასი (გერმანია) | 250 |
| 14. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხეთი) | 244 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 239 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 227 |
| 17. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 221 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 220 |
| 19. ენდი მარეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 206 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1.(1) ჟუსტინ ანენი (ბელგია) | 4457 |
| 2.(2) მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3808 |
| 3.(3) ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3241 |
| 4.(4) სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2978 |
| 5.(5) ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2891 |
| 6.(6) ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2661 |
| 7.(7) ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 8.(8) სერენა უილიამსი (აშშ) | 2325 |
| 9.(9) ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2063 |
| 10.(10) დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1975 |
| 11.(12) მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1900 |
| 12.(13) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1830 |
| 13.(15) ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1819 |
| 14.(16) ვენუს უილიამსი (აშშ) | 1765 |
| 15.(14) დინარა საფინა (რუსეთი) | 1762 |
| 16.(11) ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1750 |
| 17.(17) პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1749 |
| 18.(18) შაჰარ პეერი (ისრაელი) | 1539 |
| 19.(19) ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1416 |
| 20.(21) სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1166 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელგია) | 3245 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3050 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2431 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2215 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2161 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2105 |
| 8. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1740 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1648 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1481 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1421 |
| 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1406 |
| 13. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1398 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1396 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1384 |
| 16. შაჰარ პეერი (ისრაელი) | 1258 |
| 17. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1246 |
| 18. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1161 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1100 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1020 |

## TV სპორტი

**7 აგვისტო. სამშაბათი**

**EUROSPORT**

07:00. სნუკერი. შანხაის საერთაშორისო ტურნირი. II დღე (LIVE)
12:30. მძლეოსნობა. ლონდონის სუპერ გრან-პრი
14:30. სნუკერი. შანხაის საერთაშორისო ტურნირი. II დღე (LIVE)
17:30. პროგრამა
18:00. სპიდვეი. პრალის გრან-პრი
19:00. ევროგოლები. მიმოხილვა
19:15. მძლეოსნობა. სტოკჰოლმის სუპერ გრან-პრის წინ
19:30. მძლეოსნობა. სტოკჰოლმის სუპერ გრან-პრი (LIVE)
22:45. სნუკერი. შანხაის საერთაშორისო ტურნირი. II დღე
24:00. რალი. ინტერკონტინენტალ ჩელენჯი. პორტუგალია
24:30. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი
01:30. ახალი ამბები
02:00. პროგრამა

**EUROSPORT 2**

08:30. ახალი ამბები
11:00. ფეხბურთი. ბანგკოკის უნივერსიადა. იტალია – უკრაინა (LIVE)
13:00. ახალი ამბები
14:15. ფეხბურთი. ბანგკოკის უნივერსიადა. ბრაზილია – ირანი (LIVE)
16:00. ფეხბურთი. ბანგკოკის უნივერსიადა. იტალია – უკრაინა
17:00. ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი – პოლონეთი
18:00. პლაჟის ფეხბურთი. ესპანეთიდან. ფინალი
19:00. ახალი ამბები
19:30. მოტოსპორტი. მაუნთინ ბაიკი (ავსტრია)
20:00. სერფინგი
20:30. ახალი ამბები
21:00. ფეხბურთი. ბანგკოკის უნივერსიადა. იტალია – უკრაინა
22:00. GP 2
22:30. მოტოსპორტი. სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I წრე
23:15. მოტოსპორტი. სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II წრე
24:00. ახალი ამბები
00:15. რესტლინგი. იაპონიის ლიგა
01:15. ახალი ამბები
02:00. ახალი ამბები

**SPORT 1 (უკრაინა)**

06:30. ათასიდან ერთი
06:55. ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-პალმეირასი
08:40. მინი-მოედანი. სერგეი ბუბკას სკოლა
09:00. სპორტკლუბი
09:40. უკრაინის სპორტის ისტორია. 1959 წელი
10:00. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 2006/07. მილანი-რეჯინა
11:45. გასართობი პროგრამა
12:15. ჩოგბურთი. WTA. სტოკჰოლმი. 1/2 ფინალი
14:15. ფიტნესს-გეგმა
14:45. ფეხბურთი. ამერიკის ჩემპიონატი. კანზას სიტი-ნიუ ინგლენდი
16:30. ბარსელონა. ანდრეს ინიესტას პორტრეტი
17:15. ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა
17:45. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. 2006/07. ჰამბურგი-ვოლფსბურგი
19:30. ახალი ამბები
19:40. უკრაინის სპორტის ისტორია. 1958 წელი
19:55. გასართობი პროგრამა
20:25. მძლეოსნობა. სტოკჰოლმის სუპერ გრან-პრი
23:55. ახალი ამბები
00:05. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 2006/07. მილანი-რეჯინა
02:00. ახალი ამბები
02:10. ჩოგბურთი. WTA. სტოკჰოლმი. 1/2 ფინალი
04:15. ბარსელონა. ანდრეს ინიესტას პორტრეტი
05:05. ფეხბურთი. ამერიკის ჩემპიონატი. კანზას სიტი-ნიუ ინგლენდი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 1:2 |
| კემბრიჯი-ლესტერი | 0:1 |
| **გერმანიის თასი** | |
| ბურგჰაუზენი-ბაიერნი | 1:1, პენ 3:4 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-ბრესტი | 0:0 |
| **შოტლანდია** | |
| **პრემიერლიგა** | |
| ჰართსი-ჰიბერნიანი | 0:1 |
| **ბელარუსი** | |
| დინამო (მნ)-დინამო (ბრ) | 2:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ლიბერეცი | 1:0 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ნორდსიელანდი | 3:0 |
| **შვედეთი** | |
| **I დივიზიონი** | |
| გეფლე-გოტებორგი | 0:2 |
| გაისი-იურგორდენი | 1:1 |
| აიკი-ბრომაპოიკარნა | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ატვიდაბერგი-ნორჩოპინგი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| ტპს-მიუპა | 1:0 |
| ჰიკი-ვიკინგიტი | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| სენტ პატრიკსი-დუბლინი | 1:1 |
| უონდერერსი-დროჰედა | 1:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ლიტვა-ბელარუსი | 96:90 |
| ლატვია-ახალი ზელანდია | 82:74 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მონრეალი** | |
| ბერდიჩი-ჰაასე | 4:6, 5:7 |
| ლი-ვავარინკა | 3:6, 6:3, 1:6 |
| ფერერი-გულბისი | 6:2, 6:1 |
| ჰიუიტი-ფერერო | 7:6, 6:4 |
| ალმაგრო-რასელი | 6:2, 6:7, 3:6 |
| **ATP. სან მარინო** | |
| ვასალო არგელო-ბრიცი | 6:7, 7:6, 7:5 |
| პუერტა-კ. როხუსი | 7:5, 1:6, 6:3 |
| ჯილი-გარსია | 7:5, 6:4 |
| **WTA. ლოს ანჯელესი** | |
| ბამერი-გრენვილი | 6:4, 6:2 |
| საფაროვა-პუჩკოვა | 7:5, 6:2 |
| ე. ბონდარენკო-კერბერი | 7:5, 6:1 |

## ცურვა

ვარსკვლავი

# მანოდუ კლუბის გარეშე დარჩა

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ფრანგი **ლორ მანოდუ** კლუბის გარეშე დარჩა. ამის შესახებ მას თავად აცნობა ტურინულ კლუბ "ლაპრესე ნუოტოს" პრეზიდენტმა **მარკო დურანტემ**.

კლუბის შეფის ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი კლუბის მწვრთნელ **პაოლო პენსოსადმი** და საფრანგეთის ნაკრებისადმი ფრანგი ვარსკვლავის უდიერი დამოკიდებულება გახდა.

*"თუ ის მოიბოდიშებს, მაშინ კლუბში დავაბრუნებთ, მაგრამ გარწმუნებთ, მილიონიდან ამის მხოლოდ ერთი შანსი არსებობს"*, - განაცხადა დურანტემ.

შეგახსენებთ, რომ მანოდუ თავის ფრანგ მწვრთნელ **ფილიპ ლუკასს** სამი თვის წინათ დაშორდა. მაშინ მან განაცხადა, რომ თავის ბოიფრენდთან, იტალიელ მოცურავე **ლუკა მარინთან** ერთად ყოფნა სურდა. მანოდუ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონია. ამასთან, მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლებს ფლობს 200 და 400 მეტრზე თავისუფალ სტილში.

დიდი პრიზის სერია

# გეი რეკორდს ვერ შესწვდა



რიზი ჰოფა

ამერიკელი სპრინტერი **ტაისონ გეი** ორჯერ შეგვპირდა, მსოფლიოს რეკორდს გავაუმჯობესებო, მაგრამ ორივე შემთხვევაში ხელი მოეცარა. ჯერ იყო და, ბირმინგემში, დანაქადნების შესრულებაში ხელი ამინდმა შეუშალა, მეორედ კი ლონდონის სუპერ დიდ პრიზზე აპირებდა იამაიკელი **ასაფა პაუელის** რეკორდის (9.77 წამი) გაუმჯობესებას, მაგრამ ათ წამშიც კი ვერ ჩაეტია.

ფინიშს მან 10.02 წამში მიაღწია, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ კრისტალ პალასის არენაზე ას მეტრზე სპრინტში გამარჯვება მოეპოვებინა. მან თითქმის ორი მეტრით მოიტოვა უკან ევროპის ჩემპიონი ას და ორას მეტრზე სპრინტში, ნიგერიული წარმოშობის პორტუგალიელი **ფრანსის ობიკველუ**.

ლონდონის ტურნირის შემდეგ, კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა სახელოვანმა ბრიტანელმა სპრინტერმა **ჯეისონ გარდენერმა**. ოსაკაში იმის გულისთვის არ წავალ, რომ კიდევ ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე ვიასპარეზო. თუ დარწმუნებული არ ვიქნები იმაში, რომ მოგება შემიძლია, იქ წასვლა არ მჭირდება, - განაცხადა გარდენერმა.

არაა გამორიცხული, რომ გარდენერი 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მონაწილეობისთვის ბრიტანეთის ნაკრებში მაინც მიიწვიონ. მაგრამ ის ამბობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ წავა ოსაკაში, თუ ჯეროვნად მომზადებული არ იქნება. შესაძლოა, გუნდის ხელმძღვანელობას ოსაკაში ჩემი წაყვანა სურდეს, მაგრამ არ მინდა, თანაგუნდელებს კარგი შედეგის ჩვენებაში ხელი შევუშალოო, - არ ნებდება გარდენერი.

დაძაბულ პაექრობაში გაიმარჯვა 400 მეტრზე სპრინტში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ამერიკელმა ჩემპიონმა **ჯერემი უორინერმა**. სტარტიდან ფინიშამდე მას არაფერს უთმობდა თანაგუნდელი **ლეშონ მერიტი**, თუმცა ბოლო მეტრებზე უორინერმა შეძლო მისი ჩამოტოვება და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. თუმცა თავისი მომზადებით მაინც ბოლომდე კმაყოფილი არაა და ამბობს, ეს სამი კვირა იმისთვის მჭირდება, რომ ოსაკაში ასი პროცენტით მომზადებული ჩავიდეო.

იმავე დისტანციაზე, ქალებს შორის ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ ოლიმპიურ ჩემპიონ **სანია რიჩარდსს**, ვინც ავადმყოფობის შემდეგ, ჯერაც ბოლომდე არაა მოშუშებული, მაგრამ მაინც იოლად მოიტოვა უკან თანაგუნდელი **ელისონ ფელიქსი**. სხვათა შორის, რიჩარდსმა აშშ-ის სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებში მოხვედრა ვერ შეძლო.

საინტერესო იყო ქალებს შორის 200 მეტრზე სპრინტიც. აქ ბადალი არ ჰყავდა იამაიკელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ვერონიკა კემპბელს**, რომელმაც ფინიშთან მიასწრო თავის ამერიკელ ვიზავი **ტორი ედვარდსსა** და ევროპის ბელგიელ ჩემპიონ **კიმ გევაერტს**. გარბენი ბოლო, მერვე ადგილზე დაასრულა სახელოვანმა შვედმა შვიდჭიდელმა **კაროლინა კლუფტმა**.

ჭოკით მხტომელებში კი ახლოს არავინ გაიკარა რუსმა **ელენა ისინბაევამ**, ვინც საუკეთესო ნახტომით 4.82 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.

დაბოლოს, ლონდონური ტურნირის ყველაზე გამორჩეული მოვლენა მამაკაც ბირთვის მკვრელთა ასპარეზობა გამოდგა. აქ ბირთვი ყველაზე შორს (22.43 მეტრზე) ამერიკელმა **რიიზი ჰოფამ** გასტყორცნა. მისი შედეგი ყველა დროის მეათე საუკეთესო და ამ სეზონის საუკეთესოა.

ჰოფა პირველივე ტყორცნის შემდეგ (21.35 მეტრი) დაწინაურდა, მაგრამ ბოლოსწინა ცდაზე, მას ლიდერობა თანამემამულე **კრისტიან კენტუელმა** (21.66 მეტრი) ჩამოართვა, ვინც მანამდე ოთხი ცდა გააფუჭა. მაგრამ ჰოფამ ბოლო ცდაზე ყველას, მათ შორის, თავის თავსაც აჯობა. მან ამ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი თითქმის ნახევარი მეტრით, საკუთარი კარიერის რეკორდი კი 46 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

*"კრისს ჩემთვის ბოლოსწინა ცდით ბევრჯერ უჯობნია და არ მინდოდა, ამჯერადაც ასე მომხდარიყო. ამიტომ, ძალიან მოვინდომე და თავადაც გაოცებული დავრჩი, როცა დავინახე, რომ ბირთვი ბოლო რკალს მიღმა ჩავარდა. ეს ჩემი კარიერის საუკეთესო ტყორცნაა და ჯერაც არ მჯერა, რომ ეს შევძელი"*, - განაცხადა ჰოფამ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ავტოსპორტი

ფორმულა 1.
უნგრეთის დიდი პრიზის შემდეგ

# ალონსო თანაგუნდელს ებუტება

ფორმულა ერთის პილოტები ყველაზე მეტად იმას ცდილობენ, რომ პირველ რიგში, თანაგუნდელს აჯობონ და მერე სხვებს. ეს პრინციპი ძალიან ხშირად იმ შემთხვევებშიც მოქმედებს, როცა ერთი გუნდის ორივე პილოტს ჩემპიონობის შანსი აქვს. რა თქმა უნდა, გამონაკლისები მხოლოდ იმ დროს ხდება, თუ გუნდის ხელმძღვანელობა რომელიმე პილოტს ირჩევს ფავორიტად.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბოლო წლებში ფავორიტობით ყოველთვის გამოირჩეოდა "ფერარი" რომლის პირველ ნომრობას არავის უთმობდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი**. მაგრამ ახლა დიდი პრიზების ცირკში სულ სხვა დრო დადგა – პირველობისთვის მოპაექრე ორივე გუნდს, "ფერარისაც" და "მაკლარენსაც" გამოკვეთილი პირველი პილოტი არ ჰყავს. ამ ეტაპზე, ლიდერობა ინგლისური საჯინიბოს ხელშია და ბუნებრივია, რომ მის პილოტებს შორის დაძაბულობამ იჩინა თავი. მით უმეტეს, რომ ლიდერობა ჩემპიონატის ახალბედას, ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს** უპყრია ხელთ, მდევრის როლში კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსოა**.

უკვე ორი თვეა, რაც ალონსომ ეჭვიანობა დაიწყო. ის ამბობს, რომ "მაკლარენის" აშკარა ფავორიტი ჰემილტონია, ვისაც გუნდის შეფი **რონ დენისი** უკვე ათი წელიწადია მფარველობს. მისი ეს ეჭვები "მაკლარენმა" რამდენჯერმე უარყო. ამის დასტურად კი თუნდაც უნგრეთის დიდი პრიზის კვალიფიკაციაზე მომხდარი ინციდენტი გამოგვადგება – იმისათვის, რომ ბოლო სწრაფი წრე რაც შეიძლება კარგი გამოსვლოდა, გუნდმა ალონსო ბოქსში ცოტა ხანს შეაყოვნა და ამით, პრაქტიკულად, იგივე შანსი ხელიდან გამოაცალა ჰემილტონს, ვისაც, როგორც ჩემპიონატის ლიდერს, ობიექტურად უფრო მეტი ყურადღება სჭირდება იმავე გუნდისგან.

რით დამთავრდა ყოველივე, ამაზე რბოლის რეპორტაჟშიც მოგახსენეთ – ალონსო სასტარტო რიგში ხუთი ადგილით დააქვეითეს, "მაკლარენს" კი წინდაწინ ჩამოართვეს ბუდაპეშტში მოპოვებული ქულები, რომლებიც გუნდს კონსტრუქტორთა პირველობაზე ეთვლებოდა. რბოლა ჰემილტონმა მოიგო, მის შემდეგ კი განაცხადა, კვალიფიკაციის შემდეგ, ალონსო ხმას აღარ მცემსო.

*"გუშინდელი ინციდენტის შემდეგ, ის ჩემთან ურთიერთობას გაურბის. აშკარად ეტყობა, რომ ჩემთან საუბარი არ სურს. არ ვიცი, პრობლემა რაშია. კარგი იქნება, თუ ასე დიდხანს არ გაგრძელდება"*, - განაცხადა ჰემილტონმა.

კვალიფიკაციაზე რაც მოხდა, ამაში ნაწილობრივ ორივე პილოტია დამნაშავეო, - ამბობს დენისი. მისი თქმით, საკვალიფიკაციო სესიის მესამე სექტორის დროს, მან რამდენჯერმე მისცა მითითება ჰემილტონს, რათა ამას საწვავის გახარჯვის დროს, თანაგუნდელი ოდნავ წინ გაეშვა, რათა რეზინის შეცვლის მომენტში, მათ ერთმანეთისთვის ხელი არ



ალონსო (მარცხნივ) და ჰემილტონი

შეეშალათ. ჰემილტონმა ეს მითითება არ შეასრულა და როგორც ირკვევა, გუნდის შეფი რადიოთი "ერთ ადგილასაც" კი გააგზავნა. რა თქმა უნდა, თავისი თავხედობის გამო, ჰემილტონმა დენისს მოგვიანებით მოუბოდიშა. თუმცა, ფაქტია, რომ კვალიფიკაციის დასრულებისთანავე, დენისმა ყურსასმენები პანელზე დააგდო, რითაც მომხდარისადმი თავისი დამოკიდებულება უნებლიედ გამოხატა.

დაბოლოს, უნგრული რბოლის შემდეგ, ბევრი ალაპარაკდა იმაზე, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, ალონსო "მაკლარენის" დატოვებას შეეცდება. რა თქმა უნდა, ამაზე ჯერ მხოლოდ ჭორის დონეზე თუ ლაპარაკობენ. მაგრამ ამ ჭორების გასაქარვებლად განცხადების გაკეთება დენისს უკვე მოუხდა. ორივე პილოტს ჩვენს გუნდთან მრავალწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და არ მგონია, ამ კონტრაქტის გაწყვეტა ასე ადვილი იყოსო, - ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა გუნდის შეფმა, ვინც ალონსო "რენოდან" ორი წლის წინათ გადაიბირა.

*"თუ ალონსო ფიქრობდა, რომ აქ პირველი ნომერი იქნებოდა, ძალიან შემცდარა. ჩვენს გუნდში ყოველთვის პილოტების პარიტეტს ვიცავთ ხოლმე და ამ ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევთ. ისე კი, გუნდში შექმნილი სიტუაცია ერთგვარი გამოწვევაცაა. ასეთ პრობლემას ადრეც შევხვედრივართ და ვიმედოვნებ, სიტუაციას ამჯერადაც გავართმევთ თავს"*, - ამბობს დენისი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ველოსპორტი

პრო ტური

# ბერტანიოლის საუკეთესო გამარჯვება

იტალიელი **ლეონარდო ბერტანიოლის** მოულოდნელი გამარჯვებით დასრულდა პრო ტურის სერიის მორიგი რბოლა – "კლასიკა სან სებასტიანა". "ლიკიგაზის" ველომრბოლმა, ვისთვისაც სან სებასტიანის კლასიკური რბოლა მარტის შემდეგ სულ მეხუთე იყო, საფინიშო სპურტში მცირედით აჯობა ესპანელ **ხუან მანუელ გარატეს**.

ორივე ველომრბოლმა გადამწყვეტი შეტევა ფინიშამდე ათი კილომეტრით ადრე წამოიწყო. მათ ბევრი სახელოვანი მეტოქე ჩამოიტოვეს და ფინიშიც ერთმანეთში გაითამაშეს. ბოლო სპურტისთვის უფრო მეტი ენერგია იტალიელს შემორჩა, ვისაც მარტში გულთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემა ჰქონდა.

ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა ვუელტის ვიცე-ჩემპიონმა, ესპანელმა **ალეხანდრო ვალვერდემ**, ვინც გამარჯვებულებს 18 წამით ჩამორჩა.

*"ეს ჩემს კარიერაში მოპოვებული ყველაზე გამორჩეული გამარჯვებაა. ვიცოდი, რომ თუ ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე, ვალვერდესა და დაანარჩენებს უკან ჩამოვიტოვებდი, მაშინ მოგების შანსი მექნებოდა. ჩემს შეტევას გარატე გამოეხმაურა. ისიც მაგარი ბიჭია, მაგრამ მერჩივნა, ფინიშთან ერთი მეტოქე მყოლოდა, ვიდრე ოცი. მოკლედ, მან სპრინტი ადრე დაიწყო და მაშინვე მივხვდი, რომ გამარჯვება მე დამრჩებოდა"*, - განაცხადა 29 წლის ბერტანიოლიმ, ვისაც ორი წლის წინათ, ვუელტის ერთი ეტაპი აქვს მოგებული.

სან სებასტიანის კლასიკურის შემდეგ, პრო ტურის კლასიფიკაციაში ლიდერობა შეინარჩუნა ბერტანიოლის იტალიელმა თანაგუნდელმა, ჯიროს ჩემპიონმა **დანილო დი ლუკამ**.

სან სებასტიანის კლასიკური (225 კმ)

**1. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 5:12.42 (43.186 კმ/სთ); 2. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) იგივე დროში; 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.18; 4. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.18; 5. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.18; 6. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.18; 7. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.18; 8. ინიგო ლანდალუსი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.28; 9. ქსავიერ ფლორენსიო (ესპანეთი, ბუიუე ტელეკომი) 0.28; 10. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.37...**


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ ბოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა